ᲛᲘᲜᲐᲣᲠᲘ

ᲡᲘᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

№ 18-19.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 26 ᲛᲐᲘᲡᲘ 1913 ᲬᲔᲚᲘ.

1) საზღვარ გარეთი და სარწმუნოება—შ.: 2) მოწოდება. 3) რუსის ბერების ახალი მწვალებლობა ძველ ათონში—ათონელი. 4) ზოგიერთი მამების შურიანობა—მ. ბახტაძე. 5) სიტყვა გარდაცვალებულ მღვდ. ი. მოდებაძის ცხედრის წინ—ლეონიძე. 6) კვირიდან-კვირამდე. 7) საუბრები—ა. ᲗᲐ. 8) პონტოელ პილატეს რაპორტი—მღ. ბ. ოსიძე; 9) მცირე შენიშვნა ეურ. განათლების შინაურ მიმომხილველს—ხელი. 10) ყოველ კვირეული პროვინციელის—კ. გძელი. 11) რაჯიდან მოტანილი ამბავი—მაყურებელი. 12) გარეშეს (ლექსი)—ქართველის შვილისა. 13) საალდგომო სახარება—ა. ბერი. 14) მოწერილი ამბები: მცირე შენიშვნა ორ საყურადღებო საგანზე—დეკ. წერეთელი, სოფ. დარყა—დამსწრე ოსისა, ს. იუარი—მღ. გ. პირველი. 15) სვანეთის სამღვდელოება—ბლ. მღ. ბ. ნიკარაძე. 16) რა სარგებლობას აძლევს სანთლის ქარხანა გელათის მონასტერს?—სასულიერო. 17) საეკლეს კითხვების განმარტება. 18) მადლობის გამოცხადება. 19) ს. ალისუბანი იმერისა.



ᲒᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲡ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲑᲘᲡ ᲜᲘᲜᲘᲡ.

საზღვარ გარეთი და სარწმუნოება.

(დასასრული).

რამოდენიმე დღის შემდეგ (ეს იყო კვირა დღე) ჩემი დიასახლისი და მისი ძმა სასაფლაოზე წავიდნენ. მეც წავედი, იმიტომ რომ უკანასკნელი გადაწყვეტილი აზრი შემედგინა ჩემი ახალი მეზობლების და საზოგადოთ უცხოელების რელიგიურ რწმენაზე და ჩვეულებებზე. მივედი სასაფლაოზე და ისეთი სურათი გადამეშალა თვალ წინ, რომლის უმშვენიერესს და უმდიდრესს თვალი ვერას ნახავს.

ჩვეულებათ ჰქონიათ თვეში ერთხელ მაინც მოინახულონ თავიანთი მიცვალებულის საფლავი, და სანთელი აენთონ შეამკონ ვარდებით და გვირგვინებით. ამ გვარათ სასაფლაოზე ყოველ კვირა დღე დიდი მოძრაობაა ხოლმე.

რამდენად ფართოთ სარგებლობენ ევროპიელები სარწმუნოებრივ ჩვეულებებით აღზრდის საქმეში ამას გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი, რომელსაც დავესწარი შვეიცარიაში: კორკოტობა ღამეს, შობის წინ ღამით, ჩემმა მასპინძელმა ერთი საათით მიმიწვია. მე სიამოვნებით

დავთანხმდი, რადგან მეინტერესებოდა გამეგო, თუ რა ნაირათ ეგებებიან შვეიცარიაში შობას. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ თვალ წინ წამოიმიდგა საუცხოვოთ მოჩითული და სანთლებით გაჩირაღდნებული შობის ხე, რომელსაც ბავშური აღტაცებით შეხაროდენ მასპინძლის ერთი რვა წლის ვაჟი და მაზე უნაროსი ორი პატარა ქალი. პატარა ხნის შემდეგ დედა წამოდგა, გარდაიწერა პირჯვარი, შემდეგ დაჯდა მოუწოდა ბავშებს და სრულიად სერიოზულად უთხრა: „ჩემო ბავშებო! ხვალ ჩვენი ღმერთის იესო ქრისტეს შობაა. ამალამ, აი ამ პატარა ხანში, ჩამოიყვლის მისგან გამოგზავნილი მოხუცებული წმინდანი, რომელიც მოდის ციდან“, ლაპარაკის დროს ჩემი მასპინძელი ხშირათ გვკითხავდა მე და თვის მეუღლეს, „ხომ ასეა მუსიო“-ო და ჩვენც ვუმოწმებდით. „დიახ, მოდის ციდან, განაგრძო დიასახლისმა, იმისათვის რომ გაიგოს, დედ-მამას თუ აწყენიეთ, არ ემორჩილებოდით წლის განმავლობაში, დაწოლა-ადგომის დროს ლოცვილობთ თუ არა, რომ თქვენმა მშობლებმა დიდ ხანს იცოცხლონ, რომ თქვენ მოგცეს უფალმა ნიჭი და კეთილი ზნე-ხასიათი. გარდა ამისა ის წმინდა მოხუცი გაშინჯავს, თუ როგორ სწავლობთ, ჩვენც გვკითხავს, თუ როგორ იქცეოდით წლის განმავლობაში და თუ, კარგათ არ იქცეოდით, მოხუცი თქვენ წაგიყვანთ“.

ასე დაასრულა დიასახლისმა თავის მუსაიფი ბავშებთან, რომლებიც სულგანაბული უგდებდენ ყურს დედის მუსაიფს. გაათავა თუ არა დედამ მუსაიფი, ბავშები შემოეხვიენ და დაუწყეს კითხვა: „მე ხომ კარგათ ვიქცეოდი“-ო. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა კარებისკენ იყურებოდა და რაღაცას ელოდენ მოუთმენლათ. მეც უნებლიეთ კარებს მივაპყარ თვალი. მოისმა ფეხის ხმა ბავშებს ფერმა გადაჰკრა. მეც რაღაც უნებურათ დამიწყო ტანმა ერიალი. მოისმა კარებზე კაკუნი. დიასახლისმა, ვითომ შეშინებული სახით, წამოიძახა „ვინ ხარ“? „მე ვარ წმინდა, მოხუცი გამოგზავნილი ღვთისაგან, რომ გავიგო თქვენი ბოვშების ყოფა-ქცევა“, მოისმა პასუხათ. დიასახლისმა საჩქაროთ კარები გააღო. კარებში შემოვიდა გრძელ თეთრ წვერიანი მოხუცი, კვერთხით ხელში. ტანზე გრძელი მანტია ქონდა მოხოსული თეთრი, ნაკუწ-ნაკუწა ბამბით მოფენილი, ზურგზე ეკიდა სავსე ჩინთა. ჩამოიღო მოხუცმა ჩინთა, დადვა ძირს, დაეყრდნო კვერთხს ნიკაპით და დაუწყო კითხვა დიასახლისს, რომელსაც ბავშები შიშით თითქმის მიკვროდენ. მოხუცმა ჯერ ბავშებს ჰკითხა როგორ ლოცვილობენ, როგორ სწავლობენ, დედ-მამას ხომ არ აწუხებენ, გამგონი ხომ არიან დედ-მამის და სხვა, რაზედაც ბოვშები შიშით მხოლოდ თავის ქნევით უპასუხებდენ. შემდეგ მასპინძლებს ჰკითხა თუ მართალია მათი პასუხი. ბავშები დედ-მამას მოუთმენლათ შესცქეროდენ პირში, აბა რა სთქვანო. მშობლებმა კარგათ წარადგინეს ყმაწვილები. მაშინ მოხუცმა ამოიღო ჩინთიდან სხვადასხვა გვარი კამფეტები, სათამაშოები და დაურიგა ბავშვებს. „მე გაისათ ისევ მოვალ სთქვა მოხუცმა, და თქვენ, ბოვშებო, ეცადეთ მშობლების სიამოვნებას, თუ რამე დაიშავეთ თქვენი მშობლები მეტყვიან და მაშინ მე ვიცი“. მოხუცი წავიდა. ბავშებმა თავისუფლათ ამოითქვეს სული. მოხუცი, რასაკვირველია, ოჯახის უფროსის ამხანაგი იყო გადაცმული, მაგრამ არც მე დავრჩი მოხუცის გასვლაზე ნაკლები დაფიქრებული და აღელვებული. მე მომეწონა ასეთი ხერხი ბავშების აღზრდაში. ბავში თექვსმეტ წლამდი წარმოადგენს ისეთ ნედლს წნელს, რომელსაც როგორ ფორმასაც მისცემ სინედლეში, რანაირათაც დაგრეხ სინედლეში, ისე რჩება გამხმარიც. ამ გვარათ თუ თექვსმეტ წლამდი ბავშს მისცემთ ნამდვილ ხასიათს, დააყენებთ ნამდვილ გზაზე, ის ისე რჩება სამუდამოთ; შეიძლება რომ ცოტა რამ ცვლილება მოხდეს შემდეგში, მაგრამ საფუძველი იგივე რჩება. ევროპაში იმიტომაც არის აღზრდა კარგ ნიადაგზე დამყარებული, რომ მათ გამოცადეს ის, რასაც ჩვენ გამოვცდით და მივხვდებით ასი წლის შემდეგ. ამ საინტერესო ამბის შემდეგ მალე დავეშვიდობე ხერხიან მასპინძლებს, და გამოვიდი ჩემს ოთახში. მინდოდა ცოტა წამეცადინებია, მაგრამ ფიქრებ-

მა წამიღეს და დავწევი, რადგანაც არც ისე ადრე იყო. ვწევარ და ვფიქრობ, თუ რა მაგარი რწმენა ქონია ამ ხალხს, რა მტკიცე ხასიათი და უფრო სალი შეხედულობა სარწმუნოებაზე, და რა მტკიცეთ იცავენ სარწმუნოებრივ სულ მცირე ჩვეულებებსაც კი. მე კი სულ სხვას მოველოდი. მე მეგონა, რომ საზღვარ გარეთის ცხოვრებაში არაფერი მნიშვნელობა არ ქონდა სარწმუნოებას და არც არავინ ასრულებდა მის გარეგან ფორმას, მის კულტს. ერთმა ფაქტმა სრულიად ამიხილა თვალები იმაზე, თუ როგორ უყურებდა თვით სახელმწიფო, პოლიტიკა, სარწმუნოებას. შემთხვევით დიასახლისი და მე ერთათ გამოვედით ბინიდგან. კვირა დღე იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში გამწვავებული იყო მოძრაობა, და ბევრი, როგორც მებრძოლი, ისე არისტოკრატია მირბოდა საზღვარ გარეთ. დიასახლისი ეკლესიაში მიდიოდა, მე კი სასეირნოთ, მაგრამ მაინც მივაცილე ეკლესიამდი. გამობრუნება მინდოდა, მაგრამ რომ მომესმა სასია მოენო გალობა, ვერ მოვითმინე და შევედი მეც გალობის მოსასმენად. დიასახლისი დაჯდა მე კი ფეხზე დავდექი, რადგან პატარა ხნით მინდოდა გავჩერებულიყავი. ჩემს უკან იდგა სამი პირი, რომელთაც ცოტათ თუ ბევრათ ღვინის სუნი უდიოდა, და ძალიან ხმა მაღლა და საზიზღრათ რუსულათ წამოიყვირებდენ ხოლმე და იცინოდენ. შევნიშნე თუ არა ეს, მაშინვე გავიწიე მოშორებით, გვერდზე და ცნობის მოყვარეობით დავაკვირდი. ამ დროს მიუახლოვდა მათ ეკლესიაში წესიერების დამცველი და გააფრთხილა ისინი. მე კიდევ უფრო დავაკვირდი და ვიცანი, რომ ორი მათგანი იყო ურია და ერთი პოლონელი რუსეთიდან გამოქცეულნი, თუმცა მე არც მანამდი არც იმ მოკლე ხანში მათ ვერ ვიცნობდი. რამოდენიმე გაფრთხილების შემდეგ, რადგანაც მათ უწესოებას უმატეს, საჩქაროთ გაჩნდა პოლიცია, რომელმაც უკანასკნელათ გააფრთხილა ისინი. რადგანაც ისევ უფრო უმატეს უწესოებას, ამისათვის წარუდგა წინ ერთი პოლიციელი და განუცხადა (აქ მე მივიწიე ახლოს): „რადგანაც თქვენ არღვევთ თავისუფლების კანონს, ამისათვის თქვენ უნდა დაგაკავოთ“. „არა“, შეეკვირა ერთმა მათგანმა, რომელმაც იცოდა ფრანგული: „ჩვენ თავისუფლების მიმდევრები ვართ“. პოლიციელებმა სამივე გარეთ გამოიყვანეს და უთხრეს: „წამობრძანდით პოლიციაში და იქ აგიხსნით რა არის თავისუფლების კანონი და რანაირათ არღვევთ“. წაიყვანეს პოლიციაში. მე ჯერ მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ ვიფიქრე, მეც რუსეთიდან ვარ და არ დამაკავონ-იქო და დავბრუნდი. ამ შემთხვევამ ნათლათ ამიხსნა თუ რა არის თავისუფლება და როგორი მტკიცე დამცველია თვით მთავრობა სარწმუნოების და თავისუფლების კანონებისა. განა თავისუფლების პრინციპი იმაში მდგომარეობს რომ სხვისი თავისუფლება შელახო? სხვისი რწმენა აიღო სასაცილოთ? როდის გავიზდებით ევროპამდის?..

შ.

მოწოდება*).

ქუთაისის საზოგადოებამ, ნიშნათ ნეტარ-ხსენებული იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის პატივისცემისა, დააარსა ქუთაისში წიგნსაკავ-სამკითხველო, და აურჩია მას მზრუნველი კომიტეტი, რომელმაც თავიდანვე განიზრახა ამ ძვირფასი და სასარგებლო დაწესებულებისათვის სამუდამო ბინათ საკუთარი შენობა აეგო, რასაც სცნობდა ერთ აუცილებელ პიროობათ საქმის წარმატებისათვის. ამ აზრით კომიტეტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას უსასყიდლოთ ადგილის დათმობა; ქალაქის გამგეობამ სიამოვნებით მიიღო კომიტეტის თხოვნა და ფრანგების მოედანზე დაუთმო მას საჭირო ადგილი. კომიტეტმა დაამზადა შენობის პლანი, რომელიც აქვე დახატულია, და შეუდგა მუშაობას იმ იმედით, რომ საზოგადოება არ დაიშურებს ამ კეთილი საქმისთვის შეწირულებას.

კომიტეტის მიზანია—კარგათ მოაწყოს წიგნსაკავ-სამკითხველო და მიაწოდოს საზოგადოებას გონებრივი საზრდო; ამავე დროს

*) შენობის პლანი პირველ გვერდზე.

თვით შენობა ჰყოს ძეგლათ იმ დიდებული მამულიშვილისა, რომლის ხსენებაც ყველასათვის ძვირფასია და მომავალი თაობისათვის ანდერძათ გადასაცემი, თანაც ლამაზი და კოხტათ აგებული შენობა შემატოს ქალაქს, რაც იქნება მისი დამაშვენებელი. კომიტეტს იმედი აქვს, რომ ყოველი შეგნებული წევრი ჩვენი საზოგადოებისა თავისი შეწირულებით მონაწილე გაუხდება ამ საშვილიშვილო საქმეს და თავის სახელს აღბეჭდავს მასში. ამ რწმენით აღჭურვილი ქომიტეტი მიმართავს საზოგადოებას და სთხოვს თავისი შეწირულება შემდეგი მისამართით მოგვაწოდოს: ქ. ქუთაისში ელენე კონსტანტინეს ასულს ჯინოშვილისას ქაზაკოვის ქუჩა, სახლი ანანიაშვილისა.

კომიტეტის თავმჯდომარე ელენე კონსტანტინეს ასული ჯინოშვილისა

და წევრნი.

რუსების ბერების ახალი მწვალებლობა. ძველ ათონში.

სამ წელიწადზე მეტი იქნება, რაც რუსის ბერებში უთანხმოება არის იმ წვალების გამო, რომ სახელი იესოსი ღმერთი არის, გინა თუ ღვთაება. ასეთი ახალი დოლმატეთ სახელი „იესო“ სამების მეოთხე პირად წარმოგვიდგება. ბერებმა იმოდენი იშფოთეს და იმ ზომაზე მიიწინენ, რომ გაიყვენ ორ ბანაკად, მოუვიდათ ჩხუბი და 12 თუ 13 იანვარს დაკლიტეს კარები ანდრეას სკიტეში და გამოაგდეს წინამძღვარი, მათი არხიმანდრიტი იერონიმე, და 20-ოდე მისი თანამოაზრე მართლმადიდებელნი და სხვა 80-მდის დატუსაღებული ყავთ შიგნით. თუმცა ახალი მთავრობა დასარიგებლათ მიეიდა, მაგრამ მწვალებლებმა მონასტერში არ შეუშვეს, არ გიცნობთო მოახსენეს; რუსის ელჩის თანაშემწეც მოვიდა თესალონიკით, მაგრამ იმასაც მოახსენეს: რა საქმე გაქვს ჩვენთანო. პანტელეიმონის მონასტერშიც ოგრეთვე მოიქცნენ, სადაც 2000-მდის ბერებია. ძალით დაიმორჩილეს არხიმანდრიტი და ხელი მოაწერიეს, ვინც იესოს სახელს ღმერთათ არ აღიარებს, განიდევნოს მონასტრიდანო. კიდევაც გამოყარეს რამოდენიმე ასი კაცი, და მთელი ამ ზამთრის თოვლში და ყინვაში საცოდავათ დადიოდენ მინდორში. სამწუხაროდ ამ თავის ჩირქს კავკასიას სცხებენ რუსის შავით მოსილები. ბერძნულ და რუსულ გაზეთებშიაც გამოაცხადეს კავკასიიდგან მოვიდა ეს წვალება. ვიდაც ილარიონ ბერმონაზონს გამოუცია წიგნი, რომელსაც „Въ горахъ Кавказа“ ეწოდება. ეს წიგნი აქ ძველ ათონში რუსის სკიტეში, რომელსაც რუსები ახალ თებაიდას ეძახიან, შეიწყნარეს და დაამტკიცეს; თუმცა უწმიდესმა მსოფლიო პატრიარხმა იოაკიმე III განიხილა, აკრძალა და შეაჩვენა ეს წიგნი, მაგრამ ამათ არ მიიღეს მისი წინადადება. უბრალოდ გამოძევებულმა არხიმანდრიტმა მამა იერონიმემ თავის მომხრეებით მიმართა 20 მონასტრის მართველობას, მათ ქმნეს მსჯელობა და განამართლეს მამა იერონიმე, ვითარცა მართლ-მადიდებელი და პატიოსანი პირი, და შეაჩვენეს მისი მოწინააღმდეგე, და წერილი გაუუქმეს ანდრეას სკიტეში. ამის შემდეგ ათონის მონასტრებმა და რუსის ელჩმა დეპუტაცია გაგზავნეს უწმიდეს მსოფლიო პატრიარხ გერმანოს 5-თან. რუსეთის სინოდმაც მას მიანდო ამ საქმის გარჩევა და მწვალებლების შეჩვენება. პატრიარხისაგან ამის გამო აქ ეგზარხს მოელიან. ამის მხილველი ანდრეას სკიტის მღვდელმონაზონი ანტონი აფიცრათ ყოფილი, და ამ წვალების მოთავე და მაშფოთებელი, შეშინებული გაიპარა; მაგრამ ბერძნის გემში დაიჭირა რუსის ელჩმა და პეტერბურგში გაგზავნა.

ათონელი.

სოფიერთი მაქების ბურიანობა.

ამ ორი წლის წინეთ ხონის საქალაქო პროგიმნაზია დაეამთავრე და იმავე წელში მასწავლებლის წოდება მივიღე დირექციიდან.

ქონებრივად ხელ-მოკლე, პროტექციას მოკლებული, ჩამოშავლობით მკირე გვარიშვილი, დავრჩი უალაგოთ. მრავალგზის მიეშართე ბბ. დირექტორს. ინსპექტორებს, სასულიერო

მთავრობას, აქ და სხვაგან, მაგრამ ამაოდ, ყოველთვის მპირდებოდენ და მუდამ მატყუებდენ. სიტყვით ადგილს მე მაძლევდენ საქმით კი სხვას გზავნიდენ. მკითხველო, თუ ოდნავ მაინც კი იცნობ სოფლის ღარიბ ოჯახს, სადაც ოჯახის მრჩენელი და პატრონი დასნეულებულია, ადვილად წარმოიდგენთ ჩემს ბერავ მდგომარეობას, რომელიც განვიცადე ეს ორი წელიწადი.

ამ წლის თებერვლის დამლევში შემთხვევით გავიგე, რომ სოფელ სუხჩაში, (სენაკის მაზრა) სკოლა არ არსებობდა და ხალხს სწავლა კი სწყუროდა. ადგილობრივ მცხოვრებთა ნებართვით და შემწეობა დახმარებით მე გადავსწყვიტე დამეწყო ბავშვების მზადება კერძოთ; შრომის ქირათ უნდა ამეღო თითეულ ბავშვიდან ათ-ათ შაური, მაგრამ სანამდის მაცადინობას შეუდგებოდი საუმჯობესოდ ვცანი დავკითხოდი ადგილობრივ მღვდელს მამა თომა გაბისონიას და კიდეეაც ასე მოვიქეცი. როცა მღვდელს გარემოება აუხსენი და საქმე გავაცანი, ესიამოვნა და მითხრა: „ძლიერ კარგი, ჩემო შვილო, დღეს კვირაა, ხვალ და ზეგ მე არ მეცლება, თქვენ ოთხშაბათს მობრძანდით მეც აქ გიახლებით, სწავლის დაწყების წინ პარაკლისს გადვიხდი, გაკურთხებ და დაგტოვებო“. ძლიერ მესიამოვნა სულიერი მამის ასეთი გამამხნევებელი სიტყვები. დაიმედებული, რომ მომავალ ოთხშაბათიდან მაცადინობას, შეუგებოდი, დავბრუნდი სახლში. მაგრამ დახვეთ ჩემს უბედურებას: მამა თომა, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო ოთხშაბათს თავის მრევლში მის საცხოვრებელ სოფლიდგან (ცხოვრობს იმერეთის ეპარქიაში) შურს გაეტაცებია, დავიწყებოდა თავისი მოძღვრული სიტყვა და მეორე დღეს, ორშაბათს, დილით ადრე თავისი ასული წაეყვანა სუხჩის მრევლში, შეეგროვებინა ბავშვები და უკვე დაეწყო მაცადინობა. სოფელში კი ხმა გაევრცელებია: „ბახტაძის ქალი მოვიდა და ბავშვებს ამზადებსო“. ნამდვილად კი მისი შვილი, გაბიოსონიას ქალი შეუდგა მაცადინობას. პირობისამებრ მე ჩემი ბარგიბარხანით ოთხშაბათს ვეწვიე სუხჩის მრევლს, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება და მწუხარება, როდესაც იქ დავინახე მასწავლებელი, დავრწმუნდი, რომ მღვდელმა მომატყუა, მაგრამ სულით მაინც არ დავცემულვარ, ღმერთი ვახსენე, სახლი ვიქირავე და მეც შეუდექი ბავშვების მზადებას, რომელთა რიცხვი ათამდე ავიდა. მამა თომა გაბისონია გაშწარდა და ბავშვებს ძალით მიერეკებოდა თავისი ქალიშვილის კერძო სკოლისაკენ. თან სამრევლოს ემუქრებოდა, ვისაც სწავლა გინდა, ჩემ შვილთან ისწავლე, თორემ მღვდელ-მოქმედებას არ შეგისრულებთო. ამის შესახებ საჩივრებიც აღძრა მამა თომა გაბისონიამ. ადგილობრივ ბლაღოჩინს მღვდელს მამა რაჟდენ ჭალაკანიძეს მიმართა თხოვნით, რომელიც საქმის გამოსაძიებლათ მსწრაფლ მობძანდა სამრევლოში. მამა ბლაღოჩინმა, რაჟდენ ჭალაკანიძემ, როგორც მუდამ აუჩქარებელმა, დინჯმა და მართლ-მსაჯულმა დამშვიდებით მოისმინა გარემოება და, თუმცა მე არ მიცნობდა და თომა გაბისონია კი მისი ხელქვეითია, გულ-ახდილათ გამოუცხადა გაბისონიას „არას ვხედავ დანაშაულს მასწავლებელ ქალშიო“. ამით დამთავრდა პირველი საჩივარი მამა მოძღვრისა უიარაღო, უპრატეკციო და მუშაკ მასწავლებელზე.—წმინდა სამღვთო წერილის სიტყვები მასულდგმულებს და მეც ამ სიტყვებით დავაბოლოვებ ჩემს წერილს:

„—უფალი ღმერთი მიაგებს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთებრ“.

მ. ბახტაძე.

სიტყვა მასწავლებლის-მღვდლის იოაკიმე მოდებაძის ცხედრის წინ.

დაუვიწყარო მოძღვარო და მასწავლებელო იოაკიმე! ულმობელმა სიკვდილმა არ დაგინდო, უდროოთ გამოგვსხლიტა ტოლ-ამხანაგებში და გაბარებს ცივ სამარეს. შენში იყო შეერთებული ორი მოღვაწის პიროვნება: მასწავლებლობა პრაკტიკული, როგორც მღვდელი და ტეორეტიული - როგორც ბედაგოგი. პირველ შენს მოვალეობას ასრულებდი არა

როგორც ფარისეველი, არამედ როგორც ნამდვილი მოძღვარი-მოცუქული ქრისტესი.

აი სწორეთ ამ თანამდებობაზედ ის წვალება და ტანჯვა აიტანე ზოგიერთი იუდაების წყალობით, როგორიც თითქმის ერთსაც არ შეხვედრია. რეგვენი მტრის ხელი ფიზიკურათაც კი შეგეხო, მაგრამ შენ ამისთანა ბოროტებას მედგრათ შეხვდი და გაუმკლავდი.

1906 წელში იმავე დაუდევარი მტრების წყალობით შენი სიყმაწვილეში ნაშრომი და შეძენილი სახლკარი ჩანთქა ცეცხლმა და ამითი ნახევრათ დასუსტდა და დაუძლურდა შენი ფიზიკური და გონებრივი ძალა. ამის მოწამემ კიდევ შეიბრუნე ძალ-ღონე, სულით არ დაეცი და ძალზე მეტი შრომით გააკეთე ისევ თავშესაფარი, ალბათ ამას თუ ფიქრობდი რომ 16 აპრილს 1913 წ. მოვშორდები საუკუნოდ ჩემ მეუღლეს და შვილებს დალურჯი ცის ამარათ არ დარჩენო!!

როგორც პედაგოგმა, შენ შემოიარე საქართველოს რამოდენიმე კუთხე, სადაც სამეცნიერო ტაძრებში—სასწავლებლებში სთესდით სწავლა-განათლებას და ამითი აგონიერებდი ნორჩ ახალ-გაზდობას. უკანასკნელ ხანებში დღემდი ეწეოდი ამავე ასპარეზზედ შრომას კაცხის ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში, რომელშიდაც ისე დაუკავშირდით მე და შენ ერთმანეთს, როგორც ნამდვილი ამხანაგები, გადახვეწილნი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში. კაცხის სასწავლებელს თქვენი მოძღვრული ელფერი ყოველთვის აჩნდა და უკუნისამდე დარჩება მასში. თუ რა ნაყოფი მოქონდა შენ შრომას აქ, ამას მოწმობს სხვათა შორის შენი საყვარელი ნამყოფი სახალხო შკოლების ინსპექტორის ი. ნ. სუდაკოვის ბარათი, რომელიც მივიღეთ 20 აპრილს და რომლის შინაარსიც სრულებით მომყავს აქ: **Многоуважаемый Исидоръ Давидовичъ! Съ чувствомъ глубокой скорби я узналъ о безвременной кончинѣ Вашего родственника и заслуженнаго законоучителя ввѣреннаго Вамъ Кацхскаго училища священника о. Іоакима Петровича Модебадзе. Приношу Вамъ лично съ супругой и осиротѣвшей семьѣ покойнаго, а также и учащимся Кацхскаго училища, мое душевное соболѣзнованіе. Кланяюсь праху и свѣтлой памяти почившаго пастыря и примѣрнаго учителя своей школьной паствы".** აი სწორეთ ეს არის ნამდვილი საბუთი თქვენი სპეტაკი მოღვაწეობისა საკეთილდღეოთ მშრომელი ხალხისა!

შენ, მამაო იოაკიმე, აქაურობის ჯავრი არ გექნეს, სრულიად დამშვიდებულათ მოისვენე, შვილების ჯავრი გქონდა სულ უკანასკნელ წუთამდე, მაგრამ გარწმუნებთ, რომ სადაც უნდა ვიქნე, ჩემ ძალ ღონეს არ დავიზოგ და შენი შვილებისას არავის ვათქმევინებ; დაობლდენ საწყლები და სწავლა-განათლებას ჩამოშორდენო. უკანასკნელათ ვეამბორები შენს წმინდა ცხედარს და ვსთხოვ ყოვლად უზენაეს, შენი სულის დამკვიდრებას იქ, სადაც უბიწო მოღვაწენი განისვენებენ.

კაცხის სასწავლებლის ზედამხედველი

ალ. ლგანაძე.

კვირიდან-კვირამდე.

ეპ. დავითმა 200 მან. გამოიღო ატენის უძველეს ტაძრის შესაკეთებლად.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო დავით ეპის. ქადაგების მეორე ნაწილი. რომელიც სუფთათ არის გამოცემული და შესდგება ბევრი ღრმა ღვთისმეტყველურ და ფილოსოფიურ სიტყვებიდან. რედაქციას გამოეგზავნა 300 ცალი უფასოთ დასარიგებლათ მღვდლებში.

ვინმე ა. გარიაზინი უზომოთ აუღელვებია იმ ხმას, რომ ცნობილს ვოსტორგოვს ყაზანის საკრებულო ტაძრის წინამძღვრათ ნიშნენ პეტერბურგშიო და ღია ბარათით მიუმართავს მიტროპოლიტ ვლადიმირისათვის (Дымъ отечества" № 20).

„თქვენო მეუფეო! ნუთუ მოიქმედ ამას!

იგი, ვისი ცხოვრებაც სარწმუნოებისა და ეკლესიის მიმართ დანაშაულობითაა აღბეჭდილი, ვისიც საქმენი და მიზანი ლითონის მოპოებით ისაზღვრების, ვისი ხელიც სისხლით მოსვრილია,—ინიშნება ყაზანის ტაძრის, ამ ჩვენი შვენების წინამძღვრათ".

ავტორი გადმოთვლის მამა ვოსტორგოვის „საგმირო საქმეებს", რაც საქართველოში ჩაუდენია და დაასკვნის: —

„დარწმუნდი, მიუფეე, ამ მოძღვრის დანიშვნით, რომელსაც სინოდისი დაუკარგავს, სირცხვილი წაურეცხია, სრულიად რუსეთში გრგვინვით დაიჭექებს უკმაყოფილების კვნესა და ამოხდება ბოღმა, რომელიც ყველას გაფრთხილებს, არ გაეკარონ იმ ეკლესიის მსახურთ, ვინც შებილწა წმიდა ტაძარი".

გაზეთი ,,უტრო როსია'' თანაგრძნობას უცხადებს პეტერბურგელებს, მაგრამ—დასძენს—ჩვენ, მოსკოველები რათ უნდა ვიყოთ დასჯილნი. ვოსტორგოვი ამ ჟამათ მოსკოვშია.

ამ დღეებში სინოდმა საბოლოოთ დაამტკიცა პროეკტი სასულიერო საშუალო შკოლათა რეფორმისა. შკოლა იქნება ორგვარი ტიპის: 6 კლასიანი სასწავლებელი, რომლის 6 კლასი კლასიკური გიმნაზიების 6 კლასს შეეფარდება პროგრამით. ამ სასწავლებელში კურს დასრულებულთ უფლება ეძლევათ პირდაპირ გადავიდენ გიმნაზიის მე-7 კლასში. მეორე ტიპის შკოლა იქნება ოთხლასიანი, საიდანაც პირდაპირ სემენარიის პირველ კლასში გადავა კურსდამთავრებული.

---

16 მაისის „Зак. Рѣчь"-ის ნომერში მოთავსებულია ეპის. დავითის წერილი, რომელშიდაც აცხადებს უკმაყოფილებას თუ როგორ ავიწროებენ ყოველივე ქართულს და უმეტესად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირველ დაწყებით შკოლებში რუსული ენა მეორე წელიწადს უნდა ისწავლებოდეს და არა პირველ წელს, როდესაც ბავშვები ჯერ სამშობლო ენაშიდაც ვერ გავარჯიშებულანო. ამას მოითხოვს საღი პედაგოგიური შეხედულობა, და ამას უნდა მისდევდენ ჩვენი მესვეურნიკო.

უწ. სინოდმა შეიტანა მინისტრთა საბჭოში კანონპროექტი, რომ ანტიოქიის პატრიარხის გრიგოლ IV განკარგულებაში გადადვან ერთ დროული თანხა 146 ათასი მან. და ყოველ წლიურად კი 40 ათასი მან. ეს ფულები მოხმარდება საშუალო და დაბალი აღზრდის საქმეს ანტიოქიის საპატრიარხოში „Бирж. Вѣд."

უწ. სინოდის წევრმა ეკატერინოსლავის ეპის. ავგუსტმა იცნო სოც. დემოკრატების მოძღვრება ერეტიკულათ, როგორც მოწინააღმდეგე სახარებისა და მიწერა ეკატერინოსლავში მისიონერების კრებას, რომელიც უნდა გაიხსნას ამ დღეებში, შეიმუშაოს პროგრამა სოციალისტურ მოძღვრების წინააღმდეგ.

სინოდმა მოახდინა განკარგულება რომ 12 მაისს, იმპერიის ყველა ეკლესიებში გადიხადონ სადღესასწაულო წირვა ახლად აღიარებულ წმიდანად პატრიარხის გერმოგენის სადიდებლად.

სერ. ტრუფანოვს, ყოფილ მღვდელ-მონაზონს ილიოდორეს ნება დართეს გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი „Трудовой день".

უწ. სინოდის ობერ პროკურორმა განაცხადა სახ. სათათფიროში, რომ გადიდებულ იქნას ეკლესიების ასაშენებელ საჭიროებისათვის გადადებული ფული 471,000 მ. 100,000 მანეთამდის.

მეორე კანონ პროექტში ობერ პროკურორი თხოვს ყოველწლიურად გადადოს ხაზინამ 900 ათასი მანეთი ქალაქის და სოფლის სიმღვდელოების ჯამაგირების გასადიდებლად.

ეპის. დავითი დაჯილდოებულ იქმნა წმ. ვლადიმირის 3 ხარისხის ორდენით.

---

12 მაისს მოხდა პატრიარხი გერმოგენის წმინდანათ აღიარება, რომელსაც დაესწრო ან-

ტიოქიის პატრიარქი გრიგოლი IV და მთელი რუსეთის უმალლესი სამღვდელოება.

უწ. სინოდმა მიანდო დეკანოზ ვოსტორგოვს შეედგინა განსაკუთრებული ღვთის მსახურების წესი პატრიარქ გერმოგენის სადიდებლად. ეს მინდობილობა არ იქნა შესრულებული და სინოდი იძულებული იყო განკარგულება მოეხდინა შეესრულებინათ მის სადიდებლად მსახურება, საზოგადო წმინდანების სადიდებელ წესით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოსკოვის სასულიერო აკადემიის წრეებში მოელოდენ ასეთ ინკინდენტს, რადგან იცოდენ, რომ დეკანოზი ვოსტორგოვი ღვთისმეტყველებაში ძლიერ მოისუსტებს.

---

15 მაისიდან თბილისის საობრეშუმო სადგურში გაიხსნა სოფლის მასწავლებელთათვის მეაბრეშუმეობის კურსები; კურსებზე მეცადინეობა 15 ივნისამდი გასტანს.

თემის რედაქცია წინადადებას აძლევს ჩვენი პრესის და საზოგადოების წარმომადგენლებს ამორჩეულ იქნას კომისია, რომელიც ადგილობრივ გაიკითხავს იყო ილია ისეთი მტარვალი მემამულე როგორც მისი მტრები სახავენ თუ არა, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ამ საგანზე კამათი.

სოფ. ატენის ცნობილ სიონის ტაძრის ერთ ერთ კედელს ქონდა იშვითის ხელოვნების ქართული ჩუქურმიანი ქვა, რომელიც სიძველეთა მცოდნეების ყურადღებას იქცევდა ყოველთვის. ამ ქვის გატაცების ამბავს გვატყობინებენ: ამ დღეებში ეკლესიას თავს დასხმია სამი თუ ოთხი შეიარაღებული კაცი, რომელთაც გაუნგრევიათ კედელი, ამოუღიათ ის ქვა და გაქცეულან. მკარცველების ვინაობის შესახებ არავინ არაფერი არ იცის. აცნობებს გორის ადმინისტრაციას.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გიორგი ეპის. იმერეთისა ორშაბათს დილის მატარებლით გაემგზავრა შორაპნის მაზრაში მონასტრების და ეკლესიების დასათვალიერებლად.

გაბრიელის სახელობაზე დაარსებულ წიგნთ საცავ სამკითხველოს შენობის საფუძვლის კურთხევა დანიშნულია მომავალ ორშაბათისათვის 3 ივნისს.

ამ ჟამად თფილისში საშუალო სასწავლებლების სამღვთო სკოლის მასწავლებლების კრებაა. კარგი იქნება რომ მ. მ. სამღვთო სკოლის მასწავლებლები საკითხს დასვამდენ საღვთო სკოლის დედა ენაზე სწავლების შესახებ.

სასულიერო წრეებში გადმოგვცემენ იმ უთანხმოების ამბავს, რომელიც მოხდა მოსკოვის მიტროპოლიტ მაკარის და საბლერს შორის. უთანხმოება მოუვიდათ სამაისო დღესასწაულების შესახებ წესის შემუშავების შესახებ. მიტროპოლიტ მაკარიმ შემუშავა თავისი პროგრამა დღესასწაულისა, საბლერმა ის სცნო არა სრულად და ურჩია შეეცვალა. მიტროპოლიტმა მიუთითა, რომ საეკლესიო ხასიათის პროგრამების შემუშავება სრულიად ეკუთვნის მას, როგორც მოსკოვის მიტროპოლიტს და არა ობერპროკურორს სინოდისას და არ დასთანხმდა შეეცვალა მის მიერ შემუშავებული ცერემონიალი. ამ ამბის გამო ამბობენ რომ საიუბილეო დღესასწაულის შემდეგ ობერ პროკურორი გავა ოტსტავკაშიო.

კვირას 26 მაისს ქუთაისში აკურთხეს განსვენებული სამსონ თოფურიას ძეგლი, რომელმაც პირველმა გახსნა დასავლეთ საქართველოში საავადმყოფო, რითაც საძირკველი ჩაუყარა ამ დიდათ სასარგებლო დაწესებულებას.

საუბრები.

პეტრე: მაშ ეს ძველი წარმართები სცნობდენ, რომ ღმერთი ეტყოდა კაცთა.

მღვდელი: თუმცა წარმართნი ერნი იყვნენ მრავალ ღმერთთა და კერპთთაყვანის მცემელნი, მაგრამ აქედან არ გამოდის, რომ მათნი წინაპარნი უწინ თაყვანს არა სცემდენ ჭეშმარიტს ღმერთს; რადგანაც მიუხედავად ყველა მათ ცთომილებათა, მათ შერჩათ რწმენა საუკუნო მისაგებელისა, შეგნება თავისის ბრალეულობისა და სასჯელის ღირსებისა, წყურვილი ღმერთთან შერიგებისა და მის ლმობიერ-ყოფისა მსხვერპლთა შეწირვით. საიდან არის ეს სარწმუნოებრივი ჩვეულებანი, თუ არა პირველ-ადელის განცხადებისაგან, რომლის კვალიც დარჩა მათში და გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში?

პეტრე: თუ ღმერთი თვითონ ეგაასებოდა პირველ კაცთა, არ არის გასაკვირვალი, რომ ის, რასაც ღმერთი ბრძანებდა დიდს ხანს ინახებოდა კაცთა მეხსიერებაში და ვრცელდებოდა.

მღვდელი: მაგრამ ღმერთი არა მხოლოდ ერთხელ ეტყოდა კაცთა, არამედ მრავალჯერ და მრავალნაირად. აი ამიტომ ჩვენ ვხედავთ **განახლებულს განცხადებას** ერთს ერში, რომელიც დანიშნული იყო ღვთივ განცხადებულის ჭეშმარიტების მცველად და რომლისაგანაც უნდა ესწავლათ და მიეღოთ სხვა ერთაც. ეს არის **ერი ისრაილისა**, რომელიც თვისად გამოირჩია ღმერთმა, როგორც იარაღი აღსასრულებლად თვისის საღვთოშენების გეგმისა ზებუნებრივის განცხადებით. როცა ეს ერი არა ერთ გზის განშორდებოდა ხოლმე ღმერთს, ის უგზავნიდა ხოლმე წინასწარმეტყველებს, რომლებსაც სამხილებელი ქადაგებით უნდა გამოეწვიათ მათში სინანული და ხელახლად მიეკვლიათ ღვთისადმი, ეუწყებინათ ღვთის რისხვა და სასჯელი და წინასწარ ეთქვათ მომავალი მოსვლა მაცხოვრისა. ეს წინასწარმეტყველებანი ცხადად ამტკიცებენ, რომ ღმერთი ჭეშმარიტად ეცხადებოდა ამ პირთა საშუალებით და ელაპარაკებოდა ერს. მაგალითად, დავით წინასწარმეტყველს, რომელიც სცხოვრებდა ათასის წლის წინეთ ქრისტეს შობამდე, როგორ შეეძლო სცოდნოდა, რომ მომავალი მაცხოვარი დაისჯება საშინელის ტანჯვით რომ ის მსგავსი იქნება არა კაცისა, არამედ მიწაში გასრესილის მატლისა...? როგორ შეეძლო მას სცოდნოდა, რომ განუხვრეტენ მას ხელ-ფეხს, განიყოფენ მისს სამოსელს და წილსაც ჰყრიან ამ სამოსელზე?

პეტრე. ეს ფაქტი არ აიხსნება სხვანაირად, თუ არა თვით ღვთის ზებუნებრივის განცხადებით.

მღვდელი ამაზედვე გვარწმუნებს განხილვა ისაიას წინასწარმეტყველებისა. ეს წინასწარმეტყველიც, რომელიც სცხოვრებდა შვიდასი წლის წინად მაცხოვრის მოსვლამდე, ბევრს ლაპარაკობს ქრისტეს შესახებ ისეთისავე სიცხადით და დაწვლილებით, რომ შეიძლება ვიფიქროთ, თითქო თანამედროვე გელაპარაკებაო. როგორ შეეძლო სცოდნოდა ამ წინასწარმეტყველს, რომ მომავალი მაცხოვარი იშვება ქალწულისაგან, რომ ის განკურნებს ბრმებს, კოჭლებს, მუნჯებს, საიდან შეეძლო მას სცოდნოდა, რომ ამ მაცხოვარს თვისთა ტანჯვათა გამო არ ექმნება სახე და სიკეთე, რომ ის შეიქმნება მოძულებული და შეურაცხყოფილი უმეტეს ყოველთა ძეთა კაცთასა?

პეტრე: ყოველივე ეს ცხადად გვიჩვენებს, რომ ღმერთმა ჭეშმარიტად გამოუცხადა თავი თვისი კაცთა.

მღვდელი: უკასკნელად ის გვეტყოდა ჩვენ ძისა მიერ თვისისა. თუ ქრისტე არის ძე ღვთისა ცხოველისა,—ხოლო ამაზე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არც ერთი ჭეშმარიტების მაძიებელი კაცი ეჭვს არ შეიტანს,—ღმერთი ჭეშმარიტად ეტყოდა კაცთა. განცხადება მაშასადამე, ნამდვილად იყო, მაგრამ 3) ის საჭირო და საკალდებულოა? მართალია, რომ კაცს შეუძლია, ზოგიერთს სარწმუნოებრივს ჭეშმარიტებას მიაღწიოს თვისის გონებით, მაგ. ღვთის არსებობას, სულის უკვ-

დავებას, ნების თავისუფლებას. მართალია, რომ კაცსა აქვს სულის სიღრმეში ხმა სვინდისისა, რომელიც მას ხან აფრთხილებს და ჰკენჯნის, ხან აქეზებს და იწონებს, რომელიც ეუბნება, რომ კაცმა ყველაფერში უნდა ანგარიში მისცეს ღმერთს. მაგრამ ამ გზით ცოტას შეუძლიანთ მიაღწიონ ჭეშმარიტს ღვთის ცნობას და თვისის ვალდებულების აღსრულებას! და ეს უმცირენიც, შეიძლება სიცოცხლის უკანასკნელ წამებში და ბევრ ცთომილებათა შემდეგ მიდიან მიზანთან. აი რატომ იყო საჭირო, რომ ღმერთს ზებუნებრივად გამოეცხადებინა თავი თვისი და ესწავლებინა კაცთათვის ის ჭეშმარიტებანიც, რომლებსაც, ისინი ვერ მიწვდებოდნენ თვისის გონებით. თვით ძველი წარმართები ჰგრძნობდნენ კაცის გონების სისუსტეს და ნაკლებობას მისთვის, რომ სწორედ ემსჯელნა ცხოვრების უმაღლეს და საბოლოო საკითხებზე. ისინიც ეკითხებოდნენ თავისს თავს: რა არის კაცი? რისთვის არსებობს იგი? რა მოელის მას? მაგრამ უნდა გამოტეხილიყვნენ, რომ თავის თავად, მხოლოდ თავისის გონებით მათ არ შეუძლიანთ მიაღწიონ სასურველს შედეგს ამ საკითხთა გადაწყვეტაში. როცა ერთხელ პლატონ ფილოსოფოსი ჩაუკვირდა ამ სიტყვას, დასწერა შემდეგი დიდმნიშვნელოვანი სიტყვები: მე მგონია, რომ უფრო უკეთესია, ამ შემთხვევაში, გულდამშვიდებით ველოდოთ, იქმნება ვინმე მოვიდეს ზეცით და გვასწავოს, როგორ უცქიროთ კაცს. მისი მასწავლებელი სოკრატი ამბობს: „ჭეშმარიტების ნამტვრევებით უნდა ვიცურაოთ ჩვენ ამ ცხოვრების მშფოთარ ზღვაზე, თუ არ არის უშიშარი გზა განცხადებისა, რომელიც არის ჩვენთვის იალქანი, რომელსაც არ ეშინიან არაგვარის ქარიშხალისა". შეხედეთ, როგორ ცხადად შეგნებული ჰქონდათ წარმართთა ბრძნებსაც საჭიროება განცხადებისა!

პეტრე: მხოლოდ მაშინ შეუძლიან კაცს დარწმუნდეს და ყველა ეჭვზე მაღლა იდგეს ყველა საკითხებში, როცა თვით ღმერთმა აუწყა ამის შესახებ.

მღვდელი: დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს ხოლმე კაცი გმირულად თავისს მოვალეობას, როცა თვით ღმერთი ბრძანებს ხოლმე აღთქმას ან მუქარას. რათ სწირავდნენ სიცოცხლეს მილიონობით მოწამენი გამოუთქმელ სატანჯველით და ჭირით? მიტომ რომ მათ იცოდნენ მაცხოვარის სიტყვები: რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან ჰპოვოს იგი (ლუკ. 9, 24). სნეული რად იტანს ტკივილებს საკვირველის მოთმინებით? მიტომ რომ მან იცის მაცხოვრის პირიდან გამოსული სიტყვები: რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი სცხონდეს (მატ. 24, 13).

თომა: მე ვხედავ ამას, მესმის და გეთანხმებით თქვენ.

მღვდელი: მაგრამ ეს ზებუნებრივი განცხადება საჭიროა მეტნაწილად კიდევ მისთვის, რომ ღმერთმა დანიშნა კაცი ზებუნებრივის მიზნისთვის, ე. ი. საუკუნო ნეტარებისათვის. ამისთვის არა კმარა მარტო გონება კაცისა; აქ მისთვის საჭიროა ზებუნებრივი შთაგონება და ძალნი. როცა საქმეა მხოლოდ ამ მიზნის მიღწევაზე, მაშინ კაცი უთუოდ უნდა გამოტყდეს, რომ ის აქ არაფერია. რომ მას ყველაფრის მიღწევა შეუძლიან მხოლოდ ღვთის შეწევნით.

თუ ღმერთი ეტყოდა კაცთა და თუ ეს განცხადება უეჭველად საჭიროა, აქედან გამოდის, რომ არც ერთმა კაცმა არ უნდა უარჰყოს ეს განცხადება, რადგანაც გონება ეუბნება მას, რომ ის მთლად უნდა დაემორჩილოს ღმერთს და პატივი სცეს მას, თუ მას უნდა საუკუნო ცხონება. ღვთის განცხადება, მაშასადამე, სავალდებულოა ყველასთვის განურჩევლად.

რადგანაც ქრისტიანობას აქვს საღვთო განცხადება სისრულით, ამიტომ არც ერთს კაცს არა აქვს ნება, თუ არ უნდა მძიმე ცოდვა ჩაიდინოს და პასუხის მგებლობა იკისროს, სთქვას მაზედ უარი ან გულგრილად მოეპყრას მას. და ყველა ქრისტეანობის გარეშე მდგომი აუცილებლად ვალდებულია, ეძიოს ჭეშმარიტება და ამ მიზნის მისაღწევად სთხოვოს ღმერთს შეწევნა და განათლება.

პეტრე: მგონია, რომ კაცთა მადლობით

უნდა მიიღონ, როცა მათ ეუბნებიან, რომ თვით ღმერთი გვეტყვისო. მაგრამ რას ვხედავთ? ბევრნი სულ წინააღმდეგ იქცევიან. ისინი სულ გულგრილად ეპყრობიან განცხადებას და უარსაც ჰყოფენ.

მღვდელი: ამისი მიზეზი სულ ბუნებრივია; თუ ღმერთმა სთქვა, მაშინ ისინი უნდა დაემორჩილნენ, უნდა ირწმუნონ. მაგრამ რადგანაც მათ ეს არ უნდათ, ამიტომ არაფერს ყურადღებას არ აქცევენ განცხადებას, ან არა და პირდაპირ უარჰყოფენ მას.

თომა: ჩემის აზრით, მარტო სოციალისტები არ არიან, რომ არაფრის ცოდნა არ უნდათ განცხადების შესახებ.

მღვდელი: სრულიად მართალია; ურწმუნო მატერიალისტურმა ყოველდღიურმა პრესამ ამ შემთხვევაში მოიტანა დაუსრულებელი ზარალი და ბევრნი, რომლებიც უწინ მორწმუნენი იყვნენ, მსუბუქ გაზეთების აზრებით აირივნენ და ჰგონიათ რომ თუ უარჰყვეს ქრისტიანული განცხადება ეს იქნება ნიშანი მათის განათლებისა და სწავლულობისა.

პეტრე: მაგრამ ამ გაზეთებით გადარეულმა კაცებმა უნდა იფიქრონ, რომ მათ წინააღმდეგ სდგანან ათასობით, ბეშმარიტად განათლებული ქრისტეანები, რომლებსაც სწამთ განცხადება ისე, როგორც მიღებულია ქრისტეანობაში.

მღვდელი: მადლი შევწიროთ ღმერთს, რომ ჩვენ არ დაგვიკარგნია სარწმუნოება და გვიხაროდეს, რომ გვაქვს საღეთო განცხადება სრულებით და შეუმწიკველელად.

ა. პ.

(შემდეგი იქნება).

პონტოელ პილატეს რაპორტი

რომის იმპერატორ ტიბერიოსისადმი შესახებ იესო ქრისტეს ჯვარცმისა.

(ღასასრული*).

ჰრქვა მეფემან: ოდეს იგინი გეტყოდეს შენ შეპყრობასა, საპყრობილესა შინა გმართებდა კრძალვით დაცვა მისი, ვიდრე გეპოვნა მისთვის მიზეზი სიკვდილისა და შემდგომად დაგესაჯა მსგავსად მსაჯულისა, გმართებდა შენცა სიკვდილი მისთანა.

მიუგო პილატე: ჰოი მეფეო! ვერა ვცანი პირველ ზაკელება მისი ხოლო ოდეს მესმა და ვიხილენ საქმენი მათნი, რომელნი იყვნეს, მაშინ მივხდი.

ჰრქვა მეფემან: ვინ უწყის, ნუ თუ ქრთამითა საჯე სამართლიანი, ანუ თუ ნივთითა ფარისეულ იქმნენ?

მიუგო პილატე: არა ეგრეთ, მეფეო, თუმცა მრავალ-გზის წარმოსდგეს მოწამენი და სწამებდენ მისთვის ბოროტსა, გარნა მე არა უსმინე მათ. ხოლო ოდეს მომითხრეს მე, ვითარმედ მოწაფემან მისმან მისცა იგი მათ და თვით იგი არსო მოწამე ბოროტისა მისისა მაშინ დავრთე ნება მათ.

რქვა მეფემან: და სადა არს აწ მოწაფე იგი, რომელმანცა მისცა იგი?

მიუგო პილატე: მე, არა უწყი, ხოლო მათ მომითხრეს მე, ვითარმედ შემდგომად მიცემისა შეინანა, იგლოვა მწარედ, ვეცხლი, რომელი მას მისცეს განაბნია წინაშე მღვდელთა, თვით წარვიდა და თავი დაირჩო.

მიუგო მეფემან: უმჯობეს მსაჯულმცა იყავ დაირჩობოდი უკვე მისთანა, არა ხელითა ჩემითა უბოროტესად წნრწყდებოდი?

მიუგო პილატემან: იყავ ნება შენი. გარნა უწყი მე ესე, რომელ არა ნებითა ჩემითა და სამართლითა მიქმნიეს ესე.

ჰრქვა კეისარმან: ჰოი უბადრუკო! უკეთუ შეგეშინა ერისაგან, ოდეს იგი მოგცეს შენ, და მას შინა ვერა ჰპოე შეცოდება სასიკვდინე, უმჯობეს ჰყოფდი შთაგესვა იგი საპყრობილესა შინა და აღგესრულებინა გულის წადილი მათი. უკეთუ ჰპოებდი ღირსად სიკვდილისა, მოკლევდი. უკეთუ არა, მაშინ ზაკეით როგორმე შეიპყრობდი მთავარსა ქალაქისასა, სიკვდილსა ზედა ითანხმებდი ერსა ქალაქისასა და შემდგომად ბრძანებისა შენისა არა ვითარიმე წინააღმდეგობა შეეძლებოდათ, გარნა შენ-ესე არა ჰყავ; ოდეს მათ იხილეს სიმსუბუქე გონებისა შენისა და შემუსრვილება გუ-

*) იხ. „შინ. საქ." № 16—17.

ლისა შენისა, მყისვე ნივთით თხოვანი მოგა-
წონნეს და შენცა ნებისამებრ მათის აღასრუ-
ლე.

ჰრქვა პილატე: ჰოი მეფეო, გევედრები მის-
მინო მე, ოდეს იგი მომცეს მე და წარმოა-
დგინეს წინაშე ჩემსა, მე მყისვე გაოცებით
შემეშინა. მაშინ ჰურიანი მრავალსა ბოროტსა
ბრალსა ჰსდებდენ მას ზედა, და მან ჰსდუმნა
და არა რასა მიუგებდა, და იმან უმეტეს
იკვნეულ მყო.

ჰრქვა მეფემან: ჰე, უგუნურო მსაჯულო! მი-
თხარ ნამდვილ ნებითა თვისითა განმზადებულ
იყო სიკვდილად, რომელსაც აქვნდა ხელმწი-
ფება ქმნა, რაიცა მხოლოდ ენება რომელსა
ეწოდება იესო, ძე ღვთისა, მეუფე ჰურიათა.

ჰოი საკვირველებავ! რამეთუ ოდეს ახსენა
კეისარმან სახელი იესო, მეყსეულად სიმრავლე
ღმერთთა და ხატნი კერპთანი გადმოცვივდნენ
ძირსა და შეიმუსრნეს. ზე აღსდგა მსწრაფლ
კეისარი და გამოვიდა. და ბრძანა პილატესი
სიფრთხილით დაცვა განთენებამდე.

ხოლო დღესა მეორესა დასჯდა კეისარი
საყდარსა ზედა სამსჯავროსა და დიდად განრი-
სხებულმან ბრძანა მოყვანა პილატესი წინაშე
თვისსა. და ოდეს წარსდგა პილატე უბრძანა
კეისარმან: უბადრუკო მარქვ მე, ვინა იყო
ჯვარცმული იესო, რომლისა ერთ გზის ხსე-
ნებითა ერბაშად წარსწყმდენ ყოველნი მსახუ-
რებანი ჩემნი?

ჰრქვა პილატემან: უწინარესვე მოვახსენე
დიდებულებასა თქვენსა და ვითარმედ გეტყვი,
რაოდენი წერილითა გაუწყე თქვენ უწინარეს,
ყოველივე ჭეშმარიტ არს.

ჰრქვა კეისარმან. სით იყო იგი, ზეცით
ანუ კაცთაგან?

მიუგო პილატემან: ვიცი ქვეყანაზე აღმოჩნდა,
კაცთა თანა ვიდოდა, მხილველთა ცხად ეჩვე-
ნებოდა, ზოგნი იტყოდიან კეთილი ვინმე არსო,
და სხვანი არათ, მაცთური არსო. და თავადი
იტყოდა ძე ღვთისა ვარო და ზეცით გარდა-
მოვხედო.

ჰრქვა კეისარმან: უკეთუ ეგრეთ არს, მა-
მაშასადამე ხელმწიფე ვინმე იყო იგი, რომელ
ხელმწიფებით იქმოდა ყოველსა, რაი იგი ენება
მას, და შენ წინააღმდეგ ხელმწიფობისა ჩემისა
ჰყავ ესე და ქვეყანა ჩემი მოაოხრე?

მიუგო პილატე: ვფიცავ ღმერთთა და
თავსა შენსა, თვით მპყრობელო კეისარო, რო-
მელ არცა მტეროობით. არცა წინააღმდეგობით
მექმნას ეგე. არცა მიხედვითა ქრთამისათა, ვითარ-
ცა ბრძანებს მეფობა თქვენი.

უბრძანა კეისარმან: ყოვლად უბოროტესო
—ხედავ უკეთურისა და უსამართლოსა სამარ-
თლისა შენისაგან, რომელ ჰყავ აღმოჩნდა
უსჯულოება შენი და ღმერთნი ჩვენნი წარს-
წყმიდენ, მაშა თანამდებბარ შენცა მათ თანა
წარწყმდე. მაშინ კეისარი აღივსო გულის წყრო-
მითა და მრისხანებითა და უბრძანა მსახურთა
ტანჯვა მისი და შეყენება საპყრობილესა შინა,
ვიდრე საჯოს ფრიად, ვითარისა სიკვდილისა
ძალით მოკლას იგი; და შემდგომად ბრძანა
რათა როვატივი (?) მიუწეროს სასომხეთოს
მეფესა ავგაროზს, რომელი მეფობდა ედესიასა
შინა და დედანი წერილისა მის იყო ესრეთ:

მეფეთ მეფე აგვისტოსებრ კეისარი რომა-
ელთა სამფლობელოსი, შენ საყვარელსა ძმასა
ჩემსა, მეფესა დიდისა სასომხეთოისა და აღმო-
სავლეთისა მთავარსა ავგაროზს გიხაროდენითა
მოგიკითხავ.

ეუწყოს თვით მპყრობელსა მეფობასა თქვე-
ნსა უმეტესი სიყვარული ძმობისა და ურთიერთა
მიმართ ერთ სიტყვაობა და თანხმობა.

და ამასთან მოახსენდეს მეფობასა თქვენსა
ესეცა: კაცი ვინმე იყო, რომელსა ეწოდებოდა
იესო, რომელიც გამოჩნდა ქვეყანასა გალილე-
ველთასა, ქალაქსა შინა ნაზარეთს. და აღიზა-
რდა ეგრეთ, ვითარცა ასაკი კაცთა, რომლი-
სათვისცა ვიეთნიმე იტყოდიან ძე ღვთისა არს
მეუფე ჰურიათა. შური იძიეს ჰურიათა და
მისცეს იგი პილატეს, და ვითარცა მოგვი და
თანამდები სიკვდილისა ჯვარს აცვეს, და მრა-
ვალთაგან გვესმა, ვითარმედ აღსდგა მკვდრე-
თით და შეც ზედ მიწევნით გამოვიძიე და ვსცან,
რამეთუ ყოვლადვე ჭეშმარიტი იყო, და პილა-
ტემან უსამართლობით დასაჯა იგი—და აწ იგი
ბმულ მყავს რკინისა ჯაჭვითა საპყრობილესა

შინა, ვბრძანებ ბოროტისა სიკვდილითა ჩაკვლომასა მისსა.

აწ ვეეედრები მხნეობასა თქვენსა, რათა "განემგზავროთ იერუსალიმად და უსჯულონი და ულმრთონი გვარნი ჰურიათანი უწყალოდ და მწარითა შეიწროებითა სტანჯოთ იგინი და წარსტყვენოთ ყოველნი და იძიოთ შური მათგან იესოს სისხლისა და დაატყვევოთ დედანი და ყრმანი მათნი, და ცეცხლითა მოსწვათ სახლი და სადგურნი მათნი და განაბნიოთ იგინი მრისხანებითა თქვენითა და წარსწყმიდოთ, და ყოველი ესე ბრძანებული ჰყოთ თვინიერ დაგვიანებისა და დაყოვნებისა. მრთელ იყავ!

ხოლო ოდეს მიიღო ავგაროზ მეფემან როვატაგი კეისარისა, განვიდა ლაშკრითა თვისითა და მიიწია რა იერუსალიმად, იავარ ჰყო ყოველი ქვეყანა ერთბაშად, აღაფრხვნა ყოველნი მცხოვრებნი მის ქვეყანისანი და განაბნივნა იგინი პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისა, და მისცნა მახვილსა და ტყვეობასა დედანი და ყრმანი მათნი. და ეგრეთ განქექილნი ფერეთა ქვეშე, განიბნივნენ სხვადასხვასა ადგილსა, სადაცა დღესეც იმყოფებიან. ხოლო რაოდენთამე ჟამთა ვესპიანე კეისარი სამასის ბევრის სამხედროთი მოვიდა და საძირკველნი ზე მოაქცივნა, სახლნი და საყოფნი მათნი დაარღვივნა და იგინი განაბნივნა სადაც დღესაც არიან გაფანტული!

ხოლო უსჯულოსა პილატესი ბრძანა კეისარმან ქვით დაკრებად, განიყვანეს გარეგან ქალაქისა და ერმან ქალაქისამან ქვა დაკრიბეს და გარდააგდეს მძორი მისი საჰმელად მხეცთა და ფრინველთა ცისათა. ესრეთითა სიკვდილითა ჩაკვდა ულმრთო იგი პილატე თანა გამნზრახველთა თვისთა და შეორდანოებითურთ; მიიღეს აქა და მიიღებენ დროსა განმზადებულსა ცეცხლსა გენიასა, რომელიცა განუმზადებიეს უფალსა ჩვენსა დღესა უკანასკნელსა ზედა. სახელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი დიდებულ-არს საუკუნეთ-საუკუნედ წმიდისა სამებისა ერთ არსებისა აწ და უკუნისამდე.

მღ. ბ. ოსიძე.

მცირე შენიშვნა

ეურნ. განათლების შინაურ მიმომხილველს ბ. პ. მირიანაშვილს.

(იხ. „განათლება" № 4 1913 წ.)

ბ. პ. მირიანაშვილი ბრალსა სდებს ქართველ „ხუცებს" და აუგებს მათ საქციელს იმის შესახებ, რომ იგინი ნათლობის დროს არ არქმევენ ყრმებს ნამდვილ ქართულ სახელებს, როგორიც არიან მაგალითად სახელები თინათინ, ვახტანგ, რუსუდან და სხვანი. ჭეშმარიტებას ღალადებს ბატონი პეტრე, მაგრამ ამაში დამნაშავე „ჩვენი ხუცები" არ არიან. მათ ძალიან გულითაც უნდათ ნამდვილი ქართული სახელები უწოდონ ყრმებს (ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია ის ფაქტი მოვიყვანოთ, რომ ხშირათ თავის შვილებს ზედმეტ სახელად სწორეთ ძველებურ ქართულ სახელებს ეძახიან), მაგრამ ასეთ მათ სურვილს წინ ეღობება უწ. სინოდის „უქაზები", რომლებსაც ზურგი გამაგრებული აქვთ საყვედურით, ჯარიმით და სხვა ამგვარი რეპრესიული ზომებით. ხუცების თავი ხუცების ხელში არ არის, თორემ მათ კარგათ ესმისთ, რომ სახელს კაცი უნდა ამშვენებდეს და არა სახელი კაცს. კარგათ ესმისთ ისიც, რომ ერთი ისეთი ქართული სახელი არ მოიძებნება, რომლის პატრონსაც რამე საგრძნობელი სამსახური არ მიუძღოდეს სარწმუნოებისა და მამულისადმი, კარგათ ესმისთ, რომ ღვთის წინაშე ამ სახელების პატრონები ნეტარქმნილი არიან. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ბ. პეტრე, რუსეთის ბიუროკრატიული საეკლესიო იერარქია აფიციალობას არის მიჩვეული. რა ქნას მღვდელმა? ყველა ხომ თემის „ხუცესივით" გმირობას ვერ დაიჩემებს? და ვინ იცის კიდევ, შერჩება თუ არა ამ გმირ ხუცესს თავისი გმირობა. ეხლა კიდევ ახალი საეალდებულო „უქაზი" გამოსცა უწ. სინოდმა, რომლის შემდეგ სრულიად შეუძლებელია ისეთი გამონაკლისი გმირობაც, როგორიც ჩაუდენია „თემის ხუცესს". საეკლესიო დავთრებში იქ, საცა ბავშის სახელი იწერება, უნდა ჩაიწეროს,

რომელი წმიდანის სახელზე მოინათლა ბავშვი და თვის რომელ რიცხვშია მისი ხსენება.

ამ შენიშვნით მიტომ უფრო შეგაწყინეთ თავი, რომ ხშირათ ქართველ „ხუცებს“ ისეთ ბრალს სდებენ, რომელშიდაც ისინი სრულებით არ არიან დამნაშავენი. ეს იმის ბრალია, რომ საერო წოდებას არ უნდა შეეიდეს ჩვენი „ხუცების“ მდგომარეობაში, არ უნდა ჩაიხედოს მათ ცხოვრებაში; რომ ასე არ იყოს, მიხვედრილი იქნებიან, რომ ჩვენ ხუცებს არავიზე ნაკლებ არ უყვარს თავის მშობელი ერი, არავიზე ნაკლებ არ აფასებს ძველ გმირთა საქმეებს და არავიზე ნაკლებათ არ სურს შეინახოს ხალხში არა თუ მათი სახელები, არამედ მათი გმირული სულიც.

ხელი.

უოველ კვირეული პროვინციელისა.

ყოველივე მოვლენას ეკლესიის ცხოვრებაში თვისი სარჩული, საფუძველი უდევს. ავიღოთ მაგალითად უქმობა. ესა თუ ის უქმე შემოღებულია ეკლესიისაგან შემდეგ სასწაულ-მოქმედებისა ანუ რაიმე არა ჩვეულებრივის მოვლენისა. საქართველოს ეკლესია სხვა უქმეთა შორის დღესასწაულობს ოქონობას, ანუ ოქონის ღვთისმშობლის ხატის დღეობას. რომელი დროიდანაა შემოღებული ეს უქმე და რათ უქმობენ მას ჩვენში?

ოქონის ხატია ბერძნული და მისი უქმობა იცოდენ მხოლოდ საბერძნეთში. ერთ დროს, ქართველებს და ბერძნებს ომი ჰქონიათ ერთმანეთში ს. ოფიშკვითის ახლოს. ამ ომში მძლეველნი გამოსულან ქართველები და მტრის აუარებელი ქონებაც დარჩენიათ. სხვათა შორის მათ ჩაუგდიათ ხელში ოქონის სასწაულთ-მოქმედი ხატი, რომელიც ბერძნებს ომის დროს თურმე თან დაჰქონდათ. ამ ხატის დღესასწაული საქართველოს ეკლესიამ აღდგომის მეხუთე შაბათს დასდვა და კიდეც დღესასწაულობს ყოველთვის. ოქონის ხატის პატივისცემისათვის ქართველებმა სხვადასხვა ადგილას ეკლესიები აუგეს როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის საქართველოში. ქართლში მის სახელობაზე ყოფილა მონასტერი აგებული. ეს სასწაულ-მოქმედი ხატი აწყვერს ყოფილა წინაპირველად და მერმე გელათს გადმოუსვენებიათ და იქაა დღესაც ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული მეფე—დიდებულთაგან. ჩვენში ბევრს უმეცარს სათაკილოდ მიაჩნია ოქონობა, რადგან შაბათობითაა, მაგრამ მლვდელი ვალდებულია განუმარტოს მრევლს ისტორიული მნიშვნელობა ამ ხატისა, დაუჯეროს რომ უსაფუძვლოდ არაა შემოღებული მისი დღეობა ჩვენში და მაშინ ყველასვეის გასაგები და აშკარა შეიქნება ძალა და მნიშვნელობა მის სახელობაზე დღესასწაულობისა.

ავიღოთ მეორე დღესასწაული ე. წ. „დედაღვთისობა“. ეს დღესასწაულია ვარძიის ღვთის-მშობლის ეკლესიისა (შორაპნის მაზრა) და მოდის ყოველთვის მენელსაცხებლე კვირის ორბაშაბთს. ამ ხატისაგან თვითონ სოფელსაც ვარძია დაერქვა. ეს ეკლესია აგებულია უხსოვარის დროიდან ვიდაც ერისთვის—ჩხეტიძისაგან, არის პატარა, გუმბათიანი, ქართული სტილით ნაშენი. იმ დღეს ნაწირვებს მღვდლები გარეშემოატარებენ ეკლესიას ამ ხატსა და მერმე იქვე გალავანს გარეთ, ე. წ. ხატს სასვენში, დაასვენებენ და იქ ილოცება შემომწირველნი და მიიღება შეწირულება. ეს ხატი ბერძნის არქიმანდრიტს იონიკეს შეუმკია ვერცხლით, როგორც სჩანს წარწერიდან ჩუნბ წელში. ეს ხატი მოსვენებულია დიდებული ვარძიის მონასტრიდან და არის მისი ასლი, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს. საჭიროა, როგორც ზემოთ ვთქვით, ორიოდე სიტყვით მაინც, განემარტოს ხალხს ძალა და მნიშვნელობა დღესასწაულისა. ხალხს კი წარმოდგენილი აქვს დღეობებზე სიარული მარტო საქეიფოთაა შემოღებული და მაინც აკი ასეც იქცევიან...

ჯ. ბ ე ლ ი.

რაჭიდან მოტანილი ამბავი.

— რა ამბავია ჩვენში გრიგოლუკა, ხომ მშვიდობა არი კარგი? ჰკითხა ქუთაითურმა რა-

ველმა მეპურემ ახლად ჩამოსულ მეზობელს. —ღვდელი ხომ კაი გამოგვადგა, ქუთაისში გაზდილია და ვიცი, მოგეწონებოდათ.

— შვიდობა კი არის ჩემო გლახუნუკა, მაგრამ ღვდლისა რა მოგახსენო. ი დალოცვილი ნამეტან უცხოთ ირჯება, და ჩვენი ბიჭები კაის არას უზამენ. გამოვა თუ არა წირვა და გადმოდგება, ვითომ ვქადაგებო, სულ დათვებს და მგლებს გვეძახის, გვლანძღავს, გვაგინებს: თქვენი ადგილი ეკლესიაში კი არა ტყეშია მხეცებთანო, აქ თქვენ რა გინდათ, აქ ქრისტიანები უნდა იდგენო. სახლში მივიყვანთ და წიწილის ხორცი თუ არ იქნა, ხელს არაფერს ჰკიდებს. ნამეტანი დიდგულია და ხალხს თავი მოაბეზრა. რას არ გინდა დახარჯავენ, ოღონ კი მოიცილონ. 1000 მანეთს გავილებთ, რომ ვინმეს ადგილს შეუცვლიდეს და ჩვენ სხვა ღვდელს ვიშოვნიდეთ. რა გითხრა, რა მოგიყვე მისი ამბავი, ამოდი და შენ თითონ ნახე.

ასეთ მუსაიფს გადავეყარეთ ამას წინათ, დავინტერესდით და ღვდლის ვინაობა ვიკითხეთ, გავიგეთ, ვინც იყო. ძრიელ გვეწყინა. მართლა ქუთაისში გაზდილია, ნაყურები კაი გამოჩენილ ადგილზე. გვეგონა უკეთესი დარჩებოდა. იმედს მაინც არ ვკარგავთ. ისიც არ ვიცით, იქნებ უგონებდენ. მაგრამ ერთი გარემოება გვაეჭვებს: რაჭველები არ არიან შარიანები, მღვდელი და ეკლესია დანარჩენ ქართველებზე გაცილებით მეტად უყვარსთ და არ ვფიქრობთ მოგონილი რამ იყოს. ყოველ შემთხვევაში ვისურვებთ, რომ ტყუილი გამოდგეს.

მაყურებელი.

ბ. „გარეშე"-ს წერილის გამო.*)

(ვუძღვნი ბ. „გარეშე"-ს და მის თანამოაზრეთ).

სირცხვილია, უკბილო რომ
საკბენათ წვდეს კბილიანებს,
თვით თვალების საყვრიალო
სხვებს რომ თვალებს უყვრიალებს...

— —

ილიას რომ სიცოცხლეში
ათასობით ბრალსა სდებდენ,
ოქროს სხივით შემოსილსა
ჩირათ რომ არ აფასებდენ,
ქვეყნის მტრათ რომ გამოსახეს
და გლეხების მოსისხარათ...
მას არ მოყვა წიწამურზე
დანაქცევი სისხლი ღვარათ?

— —

აკაკის ვინც ეფლიდება
და ბრალსა სდებს ილიასა,
ტყვილა ფლიდობს, მათი ქცევა
მაგონებს ფლიდ მელიასა...
თავიდან რომ ასე ბერეთ
სიცრუის და ჭორის გუდა,
ამან გიყოთ ნააზრი რომ
თქვენი ყველა გაამრუდა...

— —

ბატონებო! დაუჯერეთ
ჭეშმარიტს და წმინდა რწმენას,
თორემ მალე მოვა ის დრო,
რომ თვით უკბენთ თქვენვე ენას...

რ. ქართველიშვილი.

საღდგომო სახარება.

პირველიდგან იყო სიტყვა . . . . .

რა უფსკრულ ნათელ ძლიერ და ღვთაებურ მადლით არიან თქმულნი სახარების სიტყვები! ვისაც აზრი მიუდგომელად თვით-ნებობისა წმიდა და ფაქიზი აქვს ღრმად დაკვირებისადმი, შეუძლებელია თავი არ მოიხაროს ამ ყაცობრივ ჭკუის უზესთაეს ზეგარდამო მოვლენილ ჭეშმარიტების წინაშე, სადაც ადამიანის გონება ინთქმის, მიიზიდვის, ალიტაცის და უსაღმრთოეს მადლში შთაფლული გრძნობს. შუქსა მას. ნათლისა ჭეშმარიტებისა, — გრძნობს არა ადამიანურ ენის გამოსათქმელ ზომით, არამედ უზესთაეს გამოთქმისა, რამეთუ ყოველი სიტყვა უძლურ არს იმის გამოთქმად, რასაც სახარების რომელიმე სიტყვების სმენით ადამიანის სული და გული გრძნობს ზე ალფრთოვანებით. ასეთია სიმდიდრე სახარების ღვთა-

*) იხ. „წყარო" № 11.

ებრივ სიტყვებისა: „პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი.“

რა სიღრმეა ამ ორიოდე სიტყვაში! რა სიბრძნის მეტყველებაა ამ მოკლე წინადადებაში! აღაღო რა ბაგე იოანემ, მყისვე აღიყვანა ადამიანთა სმენა მეცნიერების გადმომცემ მიზეზისადმი. მხედველი თვის შორის აზრთა საუნჯის—გონების შორის მსიტყველ თვინიერ ბგერითი ხმოვანებისა სიტყვების გადმოცემათა, რომელიც მომდინარეობს ელვასებურ გადმონათებით, განა შეძლებდა დაედუმებია გულის ხმის ყოფა და გადმომცემი მის შორის სიბრძნით მეტყველებისა არ აღეარებია **მამად** მეცნიერებისა, **თანა არსა სიტყვითურთ**?

იოანეს მიერ თქმული „სიტყვა“ რასაკვირველია მიზნობს ძე ღვთისას, მაგრამ ვგულისხმობ, რომ გატარებულია მასში აზრიც ჩვენი სიტყვიერობის ღვთის ნათესაობით გადმოცემისა.—არა ბგერისა მიერ ორღანოთ ხმოვანებას ვამბობ, არამედ აზრთა მსიტყველ ხმას. ყოველი კაცი ხედავს თვის შორის დუმილით მყოფობაშიაც, ვითარმედ შინაგან მისა ახალ ახალი, რამ უცხო მოულოდნელი სიტყვები ელინებიან, იბადებიან და ცხობად არსდებიან.

სამართალი მოითხოვს, ყოველთა მდინარეთა მომდინარეობა ერთსადმე საუნჯიდან აღვიაროთ, ურომლისოდ ე. ი. ერთ დასაბამიდგან გადმოუდინელად მდინარეობა წარმოუდგენელია, შეუძლებელია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, არაფერი არ იქნებოდა და არცაღა უნდა ყოფილიყო. შეიძლება ითქვას ყოველივე ყოვლისავე შეზავებით მოქმედებდეს, მაგრამ შეზავება შემზავებელს გულისხმობს და მისთვის ყოვლისა ერთ დასაბამი უსაკვირველესი ბუნება—წარმომჩენი ამა ყოველთა, თანა წარუყალი ჭეშმარიტებაა; ამ ერთისაგან წარმოშობილ და განჩინებულ არს ყოველივე და ამ ერთის სიბრძნის და მეცნიერების გადმომცემს უმაღლეს ბუნებას უსათუოდ უნდა ქონოდა მის შორის სიტყვა და სული, რათა გამოეცხადებინა კაცთათვის მეცნიერება.

ცდებიან ვინც ამბობენ პირველად ნივთიერება იყოო და მისგან შეიქმნა ყოველივეო. ჯერ აზრი, სიტყვა და მერმე ქმნილება, ან უკეთ ვსთქვათ ჯერ მაარსი და მერმე არსი, ჯერ გამგე—გონა ხურო და მერმე მოქმედება აგება. მაშ სრული ჭეშმარიტებაა პირველად სიტყვა მოსაზრება და მერმე ნივთიერება აზრულ ფლობელობის ქვეშ განსაზღრულ ძალთა მატარებელი.

ამბობენ ზოგიერთნი მეცნიერნი ვითომ კაცში განვითარდა საჭიროების მოთხოვნილებით სიტყვა და მეცნიერებაო. საჭიროების მოთხოვნილებით განვითარდა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რაც არა ქონდა ის მიიღო თავის შემოქმედებით, არამედ მასში იყო ნიჭი მეცნიერებისა და სიტყვისა და **ეს** სიტყვა და მეცნიერება დაახელოვნა—გონა გაავითარა საჭიროებისაებრ. ლექსი „განვითარება“ ამას ნიშნავს და არა იმას რომ რაც არსებით არა ქონდა ის შექმნა გარეგან ძალღონის შემოქმედებამ.

მთელ არსთა მოვლენა, რაც განვითარებულა და ან ვითარდება ყოველივე ხდება მასში მიზეზ-მცემ უხილავ არსებისაგან, რომელიც მოქმედობს სახეში—ხილულად ნათესაობრიობით მიზეზთა მიზეზისაგან. თუ უმაღლეს ღვთის ბუნებას, ადამიანში გონიერ სიტყვიერობა არ გადმოუცია და მხოლოდ საჭიროებით შეიძინა—გააჩინა თვით ადამიანმა, მაშინ რა აყენებდა პირუტყვებსაც? განა ცოტა აქვსთ საჭიროებითი მიზეზები, რომ ბგერითი ბღავილი სიტყვიერებით განევითარებიათ? მაგრამ რაც არა ქონდათ ვერ შექმნეს. სრული ჭეშმარიტებაა რომ სხვა არს მდინარის მომდინარეობა და სხვა არს მიზეზი მდინარეობის მცემისა. და ესრეთ იძიების, საიდან მომდინარეობს კაცში სიტყვიერი შეგნება მოგონებულის მოგონება, და წარმოშობა? სიტყვა აზრის მოქმედებაა და ესე არს თვითება აზრისა და სიტყვისა—გონა მამისა და ძისა, განვიცადოთ რამეთუ ყოველი არსთა ქვემდებარედ აზრი მოსაზრეობს, ვითარმედ ქვეყნიერობა უსაზღვრო აზროვნებაა,—უსაზღვრო სიბრძნეა და დაუსრულებელ მე-

ცნიერების საყდარია! და ვინც გაერთობა ამ უსაზღვრო აზროვნების ხედვას, გარდაუვალი კანონმდებლობა ერთ-ხმად ჩამოსძახებს, რომ ჰყავს მას გამწესრიგებელი, საზღვარ მჩინებელი, კანონმდებელი და ყოველ ცხოველთა არსთა საჭიროების დაგვარ მოსაზრებულად შესაფერ გვამთ მიმცემი და მასთან სახიერებით მზრუნველი. და ოდეს ესე გულის ხმა ჰყო იოანემ აღტაცებით ღაღად ჰყო: „პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი. იყო ღვთისათანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი ესე იყო პირველიდგან ღვთისათანა, ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა''.

,,დიდ ხარ უფალო და დიდ არიან საქმენი შენნი და ვერვინ შემძლებელ არს მითხრობად საკვირველებათა შენთა''.

მოწერილი ამბები

მცირე შენიშვნა ორ საყურადღებო საქმეზე.

I

მრავალ გზის შემხვდერია ოლქის და მომრიგებელ მოსამართლეთა კამერაში მოწმეთა დაფიცება. დიდი ხანი არ არი, რომ ერთსა და იმავე დროს ერთ-ერთ მომრიგებელ მოსამართლის კამერაში ფიცი მივაღებიე მოწმეებს —ჯერ ოლქის სასამართლოს წევრის და მერე მომრიგებელი მოსამართლის თანდასწრებით.

მოვიკითხე ოლარი, ჯვარი, და სახარება. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, სადღაც ძველ მაგიდაში მიგდებული, გამწვირიანებული და გამტვერიანებული ოლარი, რუსული სახარება და თითის სიგრძე რკინის ჯვარი მომიტანეს... მართალი უნდა მოგახსენოთ: არ მიამა ამ საღვთო ნივთების ასე აბუჩათ აგდება და, როდესაც ჯვარი ავიღე ხელში ოლქის სასამართლოს წევრმა მითხრა: „შეგიძლიათ გულზე საკიდი ჯვარი იხმაროთო''. მასაც არ მოეწონა ასეთი უყურადღებობა საღვთო ნივთებისადმი!

ყოველ სასამართლოს ყავს მიჩენილი საკუთარი მღვდელი და, ნუ თუ არ შეიძლება, ისიც სასამართლოს ხარჯით, რიგიანი ნივთები იქონიოს მღვდელმა. 2—5 მანეთამდი შოვილობს სასამართლოს მღვდელი დღეში, ამიტომ ვალდებულია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხსენებულ ნივთებს. ხალხის თვალში დიდი მნიშვნელობა აქვს სიწმიდეს და საღვთო ნივთებისადმი პატივით მოპყრობას.

2.

მე მგონია მთელ საქართველოში და კერძოთ იმერეთში უნდა იყოს ერთი არა ქრისტიანული ჩვეულება ჯვარის წერის დროს. როდესაც ჯვარს იწერენ სასიძო და სასძლო, როგორც მოგეხსენებათ, თან ახლავან მაყრები, რომლებიც ხშირათ დამთვრალი მთდიან ეკლესიაში, სადაც აყალმაყალი და უწესობა ხშირია გათავდება ჯვარის წერა თუ არა, მეფე-დედოფალი გამოდიან ეკლესიიდგან, კარებში ძმადეებს გახიდურავებული აქვსთ ხრლმები ანუ ხანჯლები, რომლის ქვეშ უნდა გაძვრენ მეფე-დედოფალი. გამოვლენ თუ არა, შეიქნება რევოლვერების ტკაცა-ტკუცი და ქალების კივილ ჩხივილი, რაიცა ხშირათ უბედურებით თავდება.

მრავალთაგან აი ერთი მაგალითი. სოფელ ძოდში ჯვარისწერა მომხდარა თომას კვირის. ჯვარის წერის შემდეგ ვიღაცას აუტეხია რევოლვერის სროლა ჯერ მეფეს მოხვედრია ხელში და მერე თორმეტი წლის მოწაფეს შუბლში და იქვე მოუკლავს.

ერთი კალმის მოსმით შეიძლება მოისპოს ეს ორივე ზემოხსენებული, ნაკლი, თუ ყურადღება მიექცევა, ვისგანაც ჯერ არს.

დეკანოზი ი. წერეთელი.

სოფ. დარყა. სოფელი დარყა მდებარეობს დაბა საჩხერიდგან 15-20 ვერსტის მანძილზე შიდ შუაგულ ჭალის მთებში.

დარყის სამრევლო შესდგება როგორც იმერლებისაგან, ისე ოსებისაგან. აქაური ხალხი მდიდარია ხე-ტყით და საქონლით. დარყული ყველი და კალმახი მთელ ზემო იმერეთში განთქმულია. ამა სამრევლოს დიდ სიმდიდრეთ ის ითვლება კიდევ, რომ აქ არის მეავე წყლები, რომელიც ზაფხულობით ბევრ ხალხს იზიდავს ყოველი კუთხიდგან. ნაკლულევანება ამა სამრევლოსი ის არის, რომ ხალხი ძალიან ყრუ და დაბეჩავებულია; მას არ აქვს წარმოდგენა წერა-კითხვაზე. დარყელ ხალხს დღემდის შკოლის სახელი უცხოდ მიაჩნდა და ვერც ვერაფერ გაუბედავდა შკოლის გახსნას. დღეს კი მღვდლის ნესტორ დევიძის შრომით და აღგზნებითი მამასახლისის სამსონ თურმანიძის თავდადებული დახმარებით დარყელებსაც მიანათა მზის შუქმა. ამა 1913 წლის იანვრის 15 რიცხვს დარყის სამრევლოს ეწვიენ მღ. ნესტორ დევიძე და მამასახლისი სამსონ თურმანიძე. მღ. ნ. დევიძემ განუმარტა ხალხს სწავლის მნიშვნელობა, მიუთითა მახლობელ სოფ-

ლებზე, სადაც უკვე, მისის შრომით, არსებობენ შკოლები, რაზედაც ხალხი მოხარული არიან და სთხოვა მათაც, დარყელებს, გაეხსნათ სამრეველო შკოლა. დარყელებმა მიიღეს ხსენებული მღვდლის რჩევა და ერთხმათ დაადგინეს ვანაჩენი სამრეველო შკოლის გახსნაზე. ეს განაჩენი მთავრობამ უკვე დაამტკიცა და ამა 1913 წლის 14 მარტიდგან უკვე დაიწყო სწავლა დარყის შკოლაში. მოწაფეები ჯერ-ჯერობით ორმოც და ოთხია. იმედი გვაქვს დარყის შკოლის საქმე კარგად მოეწყობა, თუ ადგილობითი მღვდელი გიორგი მიქაძე და ადგილობითი მასწავლებელი ლ. კვესიტაძე შრომას არ მოერიდებიან. დაბოლოს დიდ მადლობას ვსწირავთ მღვდელს ნესტორ დევიძეს და სამსონ თურმანიძეს, რომელთაც ჩვენ შკოლას დიდი ღვაწლი დასდვეს.

დამსწრე ოსი.

ს. ალისუბანი. იყო დრო, როდესაც ეს სოფელი ამაყობდა ორ-კლასიანი სამასწავლებლო სასწავლებლით, სადაც ყოველ წლობით სწავლობდა სამას მოსწავლემდის. ამ სასწავლებელს ჰქონდა მნიშვნელობა არა კერძოთ ამ სოფლისთვის, არა იმ „საზოგადოებისთვის სადაც იმყოფებოდა, არამედ მთელი შორაპნის მაზრისთვის. ვინ არ იცის ჩვენი მშრომელი ხალხის ავლადიდება და მათი საერთოთ გონებრივი ჩამორჩენა? მაგრამ ეს მოვლენა რამოდენიმეთ არ მართლდებოდა ს. ალისუბანზე განსაკუთრებით, სადაც ზემოხსენებულმა სასწავლებელმა თავისებური განმანათლებელი დალი დასტოვა, რადგანაც თავის და შესაფერისათ ეს სკოლა იყო აღჭურვილი გლეხის ხელ-საყრელ პირობებით. ამისთვის აქაური მცხოვრებნი დიდი აღტაცებით აძლევდენ თავიანთ შვილებს ამ სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ ახალგაზდა შოულობდა მცირე სამსახურს, რომლის საშუალებითაც ცოტათი მაინც აკმაყოფილებდა თავის ოჯახის ნივთიერ მოთხოვნილებას. როგორც ზევით ვსთქვით ამ სასწავლებელს აფარებდენ თავს მოშორებულ პროვინციებიდან, როგორც არის მაგ, რაჭა, ლეჩხუმი და სვანეთი. მდაბიო ხალხისთვის ეს სასწავლებელი იყო ბურჯი გონებრივ აღზდის მხრით. მაგრამ ვიღაცის ვერაგმა ხელმა სამუდამოთ მოსპო ამ სასწავლებლის არსებობა და მისი ოდესღაც მშვენიერი ქვათლილით აგებული შენობა გამძვინვარებულმა ცეცხლმა შთანთქა და უსუსურ ბალღებს შეუბრალებლათ გამოჰგლიჯა ხელიდგან გონებრივი და სულიერი საზრდო.

ადგილობრივი მცხოვრებნი დიდ საგონებელში ჩავარდენ და დღესაც მარტო ტიტველად დატოვებული კედლების შეხედვაზე გულ შემზარავი გმინვა ამოხდებათ ხოლმე გულიდან საბრალოებს, როდესაც გაითვალისწინებენ თავის დანაკარგს.

შენობის დაწვის შემდეგ ეს სასწავლებელი ალისუბნიდან გადაიტანეს დ. ონში, რამოდენიმე მოწაფე თან გაჰყვა თავის გონებრივად მკვებავ დედას, მაგრამ იძულებული გახდენ მალე უკანვე დაბრუნებულიყვენ.

რამდენათაც საზოგადოება ითვალისწინებს თვისი დანაკარგი საუნჯის მნიშვნელობას, იმდენათ ამ სასწავლებლის კვლავ აღდგენის სურვილი უფრო და უფრო მწიფდება. მისთვის. ის მედგრად გაიძახის: „მხოლოდ იმავე შინაარსით დაგვიბრუნდეს ის შკოლა, და რაც სიმდიდრე მაქვს მისთვის შემიწირავსო“. იმედია ადგილობრივი ინტელიგენცია, თვით ამ სასწავლებლის გულშემატკივარნი, და მოწინავე საზოგადოება სათავეში ჩაუდგებიან თავგამოდებულ საზოგადოებას და მათთან ერთად ეცდებიან რომ ხალხს ეს დიდება არ წაერთვას. იქნება ზოგიერთებმა უმედო თალიო შეხედონ ამ მცირე წერილს, მაგრამ თუ გული გულობს, ყოველივე შესაძლებელია.

იმერი.

ს. იფარი. (ზემო სვანეთი).

სადადიშკელიანო სვანეთს და თავისუფალ სვანეთს, საზღვრავს ბალის წვერი, დასავლეთით სადადიშკელიანო სვანეთია, და აღმოსავლეთით თავისუფალი სვანეთი ვიდრე, ლაშხეთის მთის წვერამდინ.

მაგრამ ამისთანა თავისუფლება შენს მტერს, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ცხრა თვე ჩაეტილში ვანწყვრეევართ. თუთხმეტ ივნისიდგან გათოვლილი გზით გადმოგვყავს ცხენები დიდი გაჭირვებით და ვაივაგლახით; თუთ-

ხმეტ სეკტემბრამდის თუ რამეს მოვასწრებთ გადმოტანას, თორემ შემდეგ ისევ ჩაკეტას გვიქადის ულმობელი ბუნება. მიწა იმდენ ნაყოფს არ გვაძლევს, რომ მთელი ზამთარი ჩვენი ჭირნახულით გამოვკვებოთ ოჯახობა. რასაც მოვიწევთ, იმასაც თოვლი უსწრობს ხოლმე და გვიფუჭებს. წასული წლის შემოდგომისთანა არ გვახსოვს და ნურც მოგვასწროს ღმერთმა. დროზე პურის გალეწვა ვერ გავათავეთ, მოგვისწრო თოვლმა. გავლეწეთ ყინვაზე, მაგრამ გახმობა მაინც არ მოხერხდა. მზემაც მოგვაკლო გამაცოცხლებელი სითბო, წისქვილებიც გაგვიჩერდენ ყინვის მიზეზით, ისევ ჩვენებურად და ძველებურად გავიკეთეთ ხელთ-საფქვავი ლ ვნაყავდით მარცვალს ქვის ფიცარზე. თვითონ უწყით, ჩვენო მოამაგენო მკითხველნო, თუ როგორ იკვებება სვანეთი. ათი წლიდგან სვანი ყოველ შემოდგომაზე გაზაფხულამდე სტოვებს თავის კერას და მოდის თავის ძვირფას მეზობელ იმერეთ-გურია-სამეგრელოში ლ აფხაზეთში. განსაკუთრებით ჩვენი მარჩენალი არის ლეჩხუმი, ის გვაწვდის გაპირვების დროს სარჩოს ცოლშვილისათვის.

ამ გაპირვებაში მყოფნი დღემდი ვამაყობდით ძვირფასი საეკლესიო ნაშთ-განძეულობით, ძვირფასი ხელთნაწერებით და ხატებით, დღეს კი ესეც გვეცლება ხელიდგან. საჭიროა ამაზე ხმის ამოღება.

საჭიროა დაანიშნოს სვანეთის სიძველეთა დამცველი კომისია და ამ კომისიის ხელმძღვანელობით თვით სვანებს მიენდოს თავის სიძველეთა დაცვა. იმედია, სვანები აწიც ისე მკაცრად დაიცავენ თავის სიძველე სიწმიდეებს, როგორც დღემდე.

გთხოვთ პატივსემულ რედაქტორებს ეს წერილი გადასტამბოთ თქვენს პატივსემულ პერიოდულ გამოცემებში.

მღვ. გიორგი პირველი.

რამდენი მწარე სიმართლეა ამ პატარა მარტივ წერილში? რა დრომდი უნდა იქნეს სვანეთი ასე მოწყვეტილი მთელი ქვეყნიერობიდან. საკოდავია განსაკუთრებით ცხოა თვის განმავლობაში ქვეყნიერებას მოწყვეტილი ბევრათ თუ ცოტათ განვითარებული სვანეთის სამღვდელოება, რომელიც იძულებულია მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იძინოს უსარგებლოდ მრევლისთვისაც და თავისთვისაც. აი სად არის საჭირო მდიდარი საეკლესიო წიგნთსაცავები, რომ მღვდელმა კარჩაკეტილობის დრო ნაყოფიერათ გაატაროს თავისთვისაც და მრევლისთვისაც, იკითხოს და უკითხოს მრევლსაც.

რედ.

სვანეთის სამღვდელოება,

რუსის მთავრობის მაერ დანიშნული.

დაუვიწყარ გაბრიელ ეპისკოპოსის იმერეთში დანიშვნამდე სვანეთის სამღვდელოება ექსარხოსების ხელში იყო.

თუმცა ესრეთ წოდებულს „ოსეთის კამისიას“ სვანეთის სოფელ თავრარში 1837 წელს ეკლესია აუშენებია, მაგრამ 1841 წლამდე სვანეთში მღვდელი არა სჩანს. დავყვეთ ქრონოლოგიურად მღვდლების დანიშვნას, რამდენადაც ეს სჩანს წერილობით.

1) 1841 წელს სეკტემბერში ექსარხოს ევგენის დიაკვნათ და მღვდლათ უკურთხებია ნიკოლოზ დათეშიძე და გაუგზავნია ფარის მრევლში, სადაც სცხოვრობდა თ. ციოყ (მიხეილ) დადეშკელიანი (შამა კონსტანტინესი), რომელმაც რუსის ქვეშევრდომობა 1833 წელს მიიღო.

განსვენებული ნ. დათეშიძე რაჭველი იყო ს. ამბროლაურიდან, სასულიერო წოდებისა; სწავლა მიღებია რაჭის სასულიერო სასწავლებელში. თავისი თხოვნით დანიშნულა ფარში მედავითნეთ (ვინ დანიშნა—არ სჩანს). იგი დარჩენილა ფარში მღვდლათ 1857 წლამდე, რა წელსაც სვანეთში არეულობისა გამო თავის სოფელ ამბროლაურს გადასულა, მაგრამ 1865 წელს ისევ სვანეთს და სახელდობ კალის მრევლში გამწესებულა, სადაც განელო უკანასკნელნი დღენი ცხოვრებისა თვისისანი.

მამა ნიკოლოზი კალაში მეც კარგად მახსოვს; იგი ლამაზი და მოხსული ტანის იყო;. მასა და მრევლს შუა მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდა.

ესევე ნ. დათეშიძე ყოფილა სვანეთის ეკლესიების პირველი ბლაღოჩინი 1853 წლიდამ 1859 წლის 15 მაისამდე*). როგორც მიწერ-მოწერიდან სჩანს უმეტესი ნაწილი ბლაღოჩინობისა მას, მ. ნიკოლოზს, თავის სოფელ ამბროლაურში გაუტარებია, სადაც ოფიციალური ქაღალდები შემდეგის ადრესით მისდიოდა თურმე: „М. Они, черезъ Хотеви Амбролаури и. д. благочиннаго Сванетскихъ церквей свящ. Николаю Датешидзе.“

1859 წელს ნ. დათეშიძის ნაცვლად სვანეთის ბლაღოჩინად დაუნიშნავთ დეკანოზი ნიკოლოზ ქუთათელაძე, რომელიც სწერს რაპის ეკლესიების ბლაღოჩინს მ. დავით კანდელაკს, გამოუცხადოს ამბროლაურში მცხოვრებ მღვ. ნიკოლოზ დათეშიძეს, ჩამოვიდეს ქუთაისს და სვანეთის საბლაღოჩინოს საქმეები ჩააბაროს. თუ რამდენათ ბევრი ყოფილა ეს „საბლაღოჩინო“ საქმეები 1853—1859 წლამდე, ე. ი. 8 წლის განმავლობაში შემდეგიდან სჩანს: ყველა ქაღალდები ერთათ აკინძულია და ბოლო გვერდზე განსვენებული დათეშიძე აღნიშნავს: „24 ივნისს 1859 წელს ამა ტეტრატსა (?) შინა არიან წარმოწერილობანი სვანეთის ბლაღოჩინისადმი სასულიერო მთავრობათაგან დანომრილნი გვერდნი ფურცლისანი ნახევარ-ნახევარ გვერდზე დაწერილნი ოცდაშვიდი (27), რასა ზედა ხელს ვაწერ მღვდელი ნიკოლოზ დათეშიძე“. მიწერ-მოწერა ექსარხოსებისაგან რუსულ-ქართულად არის ნაწარმოები; თვითონ მამა ნიკოლოზი კი მარტო ქართულად ნაძლევა პასუხს.

2) 1845 წელს ექსარხოსს ისიდორეს დიაკვნათ და მღვდლათ უკურთხებია გიორგი გულბანი და მუშკურის მრევლში თავისუფალ სვანეშთი—გაუმწესებია. გიორგი გულბანი ბუნებითი სვანი იყო; სწავლა მიუღია ჯრუჭის მონასტერში, რომელიღაც ბერ იუსტინესაგან; ვინ მიიყვანა იგი ჯრუჭს ან ექსარხოს ისიდორესთან, საქმეებიდან არა სჩანს და ვერც მისმა შვილმა—დეკანოზმა რომანოზ გულბანმა ამიხსნა. მუშკურში დარჩენილა იგი სიკვდილამდე, სადაც მის დროს აშენებულ პატარა ეკლესიაში დამარხულა. თუმცა განსვენებულს სწავლას არ უქებენ, ნამეტურ წერას, მაგრამ ხასიათით საყვარელი ადამიანი იყო თურმე; ეხლაც ბევრი მოიგონებს მის სტუმართმოყვარეობას და ღარიბების შემწეობას.

იგი ხშირად „ერთი“ პერანგის მექონე—იმასაც ღარიბებს აძლევდა და თვითონ ახალუხის ამარა რჩებოდა; ასე განსხვავებულად ასრულებდა იგი სახარების სწავლას.

3) მღვდელი ადამ ქარდავა, ბუნებითი სვანი, ცხომარელი ქალდანი ყოფილა. რათ არჩია მან მეგრული „ქარდავა“ სვანური „ქალდანს“ ან რამ წაიყვანა იგი თუშ-ფშავ-ხევსურეთში მაშინდელს დროში, ჩემთვის დღესაც გაუგებარია.

როგორც სჩანს მისი ნამსახურებითი სიიდან სასწავლებელში არ ყოფილა. 1845 წელს დანიშნულია მედავითნეთ სოფ. გომეწარში თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქში; დიაკვნათ და ღვდლათ კურთხეულა (ვინ აკურთხა—არ სჩანს) 1853 წელს და გამოუგზავნიათ თავრარის მღვდლათ, სადაც დარჩენილა 17 დეკემბრამდე 1857 წლისა. ამ წელს თავრარიდამ—სვანეთიდამ დაუთხოვიათ და ხევსურეთის სამრევლო ბარისახოში გადუყვანიათ. 1859 წელს ექსარხოს ევსევის ისევ სვანეთში დაუბრუნებია—სახელდობ სუფის მრევლში. ამ სვანეთში დაბრუნებისას მღვდელ ადამს ექსარხოს ევსევისათვის ქაღალდი მიუცია და უთხოვია ბარისახოს მედავითნე (ვგონებ ცოლის ძმა) შიო დავითური დაენიშნა მასთან, რაზედაც ექსარხოსი ევსევი უაბულდება. თავის ახალ მრევლში ადამ ქარდავა ცოტა ხანს დარჩენილა და მერმე სად გადიყვანეს—ქაღალდებიდამ არა სჩანს. ამ ჟამად მისი ასავალ-ჩასავლის არაფერი ვიცით, თუმცა საინტერესო კია.

4) მღვდელი მიხვილ ფარეიშვილი, რაჭ-

*) ვინ დანიშნა—ქაღალდებიდან არა სჩანს.

ველი; მედავითნეთ დაუნიშნავთ (ვინ დანიშნა?) ფხოტრეხში 1852 წელს; დიაკვნათ უკურთხებია მეგრელიის ეპისკოპოსს თეოფანეს, ხოლო მღვდლათ გორის ეპისკოპოსს იოანნეს 1854 წელს და დაუნიშნავთ სუფის სამრეველოში. აქ დარჩენილა 1860 წლამდე, რა წელსაც ბეჩოში გადუყვანიათ, სადაც მსახურებდა პენსიის შესრულებამდე. მამა მიხეილი ცნობილია სვანეთში, როგორც პატიოსანი, სიმართლის მოყვარე და შვიდობიანი ადამიანი.

5) მღვდელი ოქროპირ მესხი, რაჭველი. საქმეებიდან სჩანს, რომ 1850 წელს იგი ფარში ყოფილა მედავითნეთ; 1857 წელს მიუტოვებია ადგილი, რაჭაში გადასულა, მაგრამ 1861 წელს ისევ სვანეთს დაბრუნებულა მედავითნეთვე; 1862 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს მღვდლათ უკურთხებია და თავსარში დაუნიშნავს; 1864 წელს მუეოლის მრევლში გადასულა. და შემდეგ რაჭაში, სახელდობ სად, არა სჩანს.

6. მღვ. ლუკა გვენცაძე, რაჭველი; 1854 ექსარხოს ევსევის დაუნიშნავს სუფის მედავითნეთ; 1860 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს უკურთხებია მღვდლათ იმავე მრევლში, სადაც დიდ ხანს მსახურებდა.

7) მღვ. სიმონ გაბიანი—გადადმელი სვანი. ექსარხოს ისიდორეს დაუნიშნავს იგი, როგორც „ყოფილი მისიონერი“ (бывшій миссіонеръ) უშგულის მღვდლათ 10-ს მაისს 1857 წელს. დანიშვნის დროს მამა სიმონს უთხოვია—მედავითნის ამორჩევის ნება თვითონ მისცეს რაზედაც ექსარხოსი ნებას დაჰყოლია. მედავითნეთ ამოურჩევია გაიოზ მიმისტრიშვილი, რომელმაც მარტო შარშანწინ მიატოვა სვანეთი და რომელსაც მთელი სვანეთი კარგად იცნობს.

მამა სიმონი სადადიანო სვანეთის სოფ. შგედში სცხოვრობდა და ამიტომ სვანები მას „შგედი ბაპ-ს“ (შგედელი მღვდელი) ეძახდენ. იმისი მამა-პაპა მღვდლები ყოფილან. სწავლა მიუღია მარტვილის „მონასტერში“; დიაკვნათ მიტროპოლიტ ბესარიონს უკურთხებია 8 მარტს 1824 წელს, ხოლო მღვდლათ იმავე წლის აპრილში მიტროპოლიტ დავითს და დაუნიშნავს ლაშხეთის მღვდლათ. უნდა შევნიშნო, რომ ლაშხეთი და უშგული, რომელთაგან პირველი სადადიანო სვანეთში ძევს, მდ. ცხენის წყლის სათავეს ახლო, ხოლო მეორე თავისუფალ სვანეთში მდ. ენგურის სათავესთან, დაშორებულნი არიან ერთი მეორისაგან ესრეთ წოდებული სვანეთის ქედით-ერთი დღის სავალზე. ამ ორ საზოგადოებათ-შორის ძველადაც ხშირი მისვლა-მოსვლა ყოფილა, ასე რომ „შგედელი მღვდელი“ მამა სიმონი დანიშვნამდეც ხშირად ყოფილა უშგულში და მღვდელმოქმედებას ასრულებდა თურმე; აი ამიტომაც უწოდებს მას ეგზარხოსი ისიდორე „ყოფილ მისიონერად“. როცა 1857 წელს ოფიციალურად მღვდლათ დანიშნეს, მაშინ ცხადია სამუდამოთ გადავიდა უშგულში, მაგრამ იმ დროს იქ ექვსი პაპა დახვდა, რომელთაც მოზიარე მღვდელი არაფრათ ეპაშნიკებოდათ და ამისათვის საჭირო იყო პაპებთა მეგობრული განწყობილება, რათა ისინი არ გადაემტერება. ამ მოსაზრებათ მამა სიმონი ვერც კი ამხელდა თურმე, თუ ის პაპებზე უფროსია და მთავროობის დანიშნული. იყო უშგულში, როგორც ერთი პაპათაგანი და როცა ეკლესიაში საღოცავად იყვნენ, „ზედა მწირველი“ პაპა ტრაპეზში იდგა და მამა სიმონი „დიაკონ პაპებთან“ ერთათ შუა ეკლესიაში „კირიელეისონ ს“ გალობდა. თავისი ოდნით განსვენებულ გიორგი გულბანს მოგვაგონებს, წერაში გაწაფული ვერ იყო და ამით აიხსნება სიჩუმე, რომელსაც იგი იჩენს, როდესაც მას სამჯერ ზედი-ზედ სთხოვენ, წარადგინოს მეტრიკები და სხვა საეკლესიო საბუთები. თავისი პატრიარხული ცხოვრებით, უზაკველი ხასიათით „შგედი ბაპ“ დღესაც დაუვიწყარია სვანეთში. უშგულში იგი დარჩენილა 1865 წლამდე. სამსახურის დანებების მიზეზი ვერ გავიგე.

8) მ. ნიკოლოზ დათეშიძის ადგილზე ფარის მღვდლათ და სვანეთის ეკლესიების ბლაღოჩინათ ქუთაისური დეკანოზი ნიკოლოზ ქუთათელაძე გაუწესებიათ. ეს გამწესება რიღაც არა ჩვეულებრივ მოხდარა. მაშინდელ ქუთაი-

სის გენერალ-გუბერნატორს თ-დ გიორგი ერისთავს ექსარხოს ევსევისათვის უთხოვია დეკანოზ ქუთათელაძის დანიშვნა სვანეთში; შეჰკითხეპიან დეკანოზს: სურს თუ არა მას სვანეთში სამსახური და როცა დასტური მიუცია, ექსარხოსს მაშინვე დაუმტკიცებია. 1859 წელს 9 ივნისს ქუთაისიდან გამოგზავრებულს 20-ს იმავე თვეს მიუღწევია სვანეთში ,,ცუდის უგზობისაგამო'', როგორც ამაზე რაპორტით მოახსენებს ექსარხს ევსევის. განსვენებული დეკანოზი სვანეთში დარჩენილა სულ ორ-წელიწად ნახევარი. მიზეზი ასე მალე სამსახურის მიტოვებისა ქაღალდებში ვერ ვიპოვე. ეს კი ცხადია, რომ სვანეთისათვის მისი ასე მალე გადაყვანა საზარალო იყო, როგორც მისი მომსწრენი მეუბნებიან. ეხლა კი მივმართოთ მის ნამსახურებითი სიას და იმისი შემწეობით გავიცნოთ ეს მართლა შესანიშნავი სასულიერო პირი. დეკანოზი ნიკოლოზ თომასძე ქუთათელაძეს გაუთავებია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რომლის შემდეგ ექსარხოს იონას განკარგულებით იმავე სასწაელებლის მეორე კლასის მასწავლებლად დაუნიშნავთ 3-ს თებერვალს 1826 წელს. იმერეთის მთავარ ეპისკოპოსს სოფრონის უკურთხებია დიაკვნათ ქუთაისის სობოროს სახელზე 13-ს აპრილს 1830 წ; ამავე წლის 15-ს მაისს გაუმწესებიათ არხიდიაკვნათ; 30 მაისს 1831 წელს დაუნიშნავთ სამღვთო სჯულის მასწავლებლად ქუთაისის სამაზრო სასწავლებელში; მღვდლათ უკურთხებია იმავე მთავარეპ. სოფრონს სობოროში 1833 წ. ვაკის (თუ ვანქის?); ბლაგოჩინათ დაუნიშნავთ 1834 წ. მუყაითის სამსახურისა გამო დეკანოზობა და ენქერი მიუციათ 1835 წ. დანიშნულა ჩორნო მორის ბატალიონში და გოსპიტალთან ქრისტიანულ წესების აღმასრულებლად იმავე 1835 წელს; ასზე მეტ სკაპცის მოქცევისათვის მართლმადიდებლობაში ექსარხოს ევსევის განკარგულობით შტატის დეკანოზად ჩაურიცხავთ სობოროში 1840 წელს; სკუფიით დაუჯილდოებიათ 1842 წელს, ხოლო ანნას მესამე ხარისხის ორდენით 1846 წელს „за труды и опасности, имъ понесенныя во время нахожденія въ Сванетіи съ особымъ порученіемъ Намѣстника Кавказского". 1847 წელს მთავრობის განკარგულობისა გამო იმერეთის ეპარქიიდან გადაყვანილა ქართლის ეპარქიაში და სახელდობ დეკანოზად მარტყოფის სობოროში; უმწიკვლო სამსახურისა გამო სამოსწავლო უწყებაში პენსიათ დაუნიშნავთ სრული ჯამაგირი 1848 წელს; ამავე წელს დაუნიშნავთ სამღვრთო სჯულის მასწავლებლად ალექსანდრეს სახელზე სამაზრო სასწავლებელში; კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის განკარგულებით დანიშნულა იმავე სასწავლებლის შტატის ზედამხედველად; 1850 წელს გაუმწესებიათ ახალციხის ეკლესიების ბლაგოჩინათ; თავისი თხოვნით ახალციხიდან მცხეთის სობოროს დეკანოზად გადასულა 1852 წელს. დაუნიშნავთ მცხეთის ოლქის ბლაგოჩინათ 1854 წელს; ამავე წელს მიუღია კამილავკა; თავის თხოვნისამებრ დასთხოვებია სამსახურს; 1857 წელს ქართლის ეპარქიიდან იმერეთისაში გადმოუყვანიათ; 15-ს მაისს 1859 წელს, როგორც ვიცით—სვანეთის ეკლესიების ბლაგოჩინათ დაუნიშნავთ.

აქ თავდება წერილობითი ცნობები განსვენებულ დეკანოზზე; ნაცნობ სვანების სიტყვით იგი იყო მაგარი ხასიათის კაცი, მკერმეტყველი, უშიშარი და კარგი მცოდნე მღვთის მსახურებისა: მის წირვის მოსმენას არასფერი სჯობდაო, მითხრა ერთმა მის მომსწრე მოხუცებულმა სვანმა. როგორც ზემოთ მაქვს ნათქვამი, დეკანოზი ქუთათელაძე ცოტა ხანს დარჩა სვანეთში და ამისათვის მას ვერ მოვსთხოვთ რაიმე თვალსაჩინო სარგებლობა მოეტანა სვანეთისათვის. ორი წლის განმავლობაში ის ხალხისა და ეკლესიების გაცნობას მოუნდა. რომ დასცლოდა, უეჭველია იგი რაიმე სახსოვარს დატოვებდა სვანეთში. ყოველ შემთხვევაში მან პირველმა გახსნა სვანეთში სკოლა; პირველმა ინახულა სვანეთის ეკლესიები და მოკლეთ აღწერა მათი ხატჯვარი. მანვე გამოითხოვა რამოდენიმე ეკლესიებისთვის რა-

მოდენიმე ბარძიმ-ფეშხუმი შესამოსელი საღმრთო წიგნები და სხვა.

სვანეთის ეკლესიების ბლაღოჩინი

მ. ᲞᲔᲡ. ᲜᲐᲯᲐᲠᲐᲫᲔ.

(შემდეგი იქნება).

15 მისი 1913 წ.

რა სარგებლობას აძლევს სანთლის ქარხანა გელათის მონასტერს?

ეს 7-8 წელიწადია, რაც იმერეთის სამღვდელოებამ სანთლის ქარხანა გელათში გადაიტანა და მთელი წარმოება მონასტერს ჩაბარა, თითონ კი გახდა დამზადებულ სანთლის გამსაღებელი, მყიდველი. იმ თავითვე სამღვდელოების განზრახვა ის იყო, რომ ტყუილა მყოფელ ბერებისთვის საქმე გაეჩინა და მონასტრისთვის უკვდავი და უტყუარი შემოსავალი, — შემოსავალი, რომელიც უნდა დახმარებოდა მონასტრის გამშვენებას და საზოგადოთ მის ნივთიერ წარმატებას. სამღვდელოებას სურდა ეს ყოველი ქონებისაგან გაცარცული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდებული და სახელოვანი ნაშთი ჩვენი ძველი სარწმუნოებისა და ხუროთმოძღვრებისა, შეენახა, დაეცო და ჩამოშალობისათვის მთელი გადაეცა; და სწორეთ ეს იყო იმის მიზეზი, რომ სამღვდელოებამ ლუკმა გამოიძრო პირში და მონასტერს მისთავაზა. სამღვდელოება, რა თქმა უნდა, არავის ამადლის ამ სხვერპლს და არც ქება დიდებას თხოულობს ვისგანმე, მან ქნა ის, რაც ვალდებული იყო ექნა, მაგრამ მგონი უფლება კი აქვს მოითხოვოს ანგარიში, თუ რა შემოუვიდა მონასტერს ამ 7-8 წლის განმავლობაში და სად არის, ან რაში დაიხარჯა ეს შემოსავალი? რა კვალი დაჩინა, რომელი მხრით გაუნჯობესა ამ შემოსავალმა ეს ჩვენი ეროვნული დიდება? ეს მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, რომ ერთი რიგი სანთლის მწარმოებელ მღვდელმონაზონთა უკვე გავიდა, თუ სამსახურიდან და მეორე რიგი შეევიდა წარმოებაში. გასაკვირვალი არ არის სამღვდელოება რომ დაინტერესებული იყოს იმით, თუ რა გაეკეთა ან პირველმა და ან მეორე რიგმა. თუ არ ვსცთებით, მისი მეუფების მიერ სასტიკი რევიზიაც მოხდა გელათის სანთლის ქარხანაში და ამ რევიზიის შედეგი სამღვდელოებამ არ იცის. საჭიროა კი იცოდეს, რომ მომავალში ამის მიხედვით იმოქმედოს, სახელდობრ, თუ ქარხანას არაფერი სარგებლობა მოაქვს მონასტრისათვის, ან რაიმე ბოროტ—მოქმედება მოხდა ან ხდება, მაშინ უნჯობესია სამღვდელოებამ ქარხანა ისევ უკან დაიბრუნოს და თითონ აწარმოვოს, ვიდრე ბერებს ჩაუტოვოს მათდა წასაწყმედათ.

— აღძრულ საკითხის თაობაზე სამღვდელოებას არაფერი მოხსენებია წასულ კრებაზე. თბილისის სანთლის ქარხნის მდგომარეობა ყოველ თვეში ეუწყება ხოლმე სამღვდელოებას „საქ. მაუწყებელის“ საშვალებით, ჩვენ კი წელიწადში ერთხელაც გვიჭირს ჩვენი ქარხნის ამბის შეტყობა. რატომ უნდა ხდებოდეს ასეთი საქმე? გაზეთი ჩვენცა გვაქვს, „შინ. საქ“, და თუ აქ რაიმე მიზეზის გამო სანთლის თვიური ანგარიშის მოთავსება მოუხერხებელია, რას გვიკეთებს იგივე „საეკსარხოსოს მაუწყებელი“, რომელშიდაც ულირალ ფასს ვიხდით?

ზემო ნათქვამით ჩვენ ეჭვი არ შეგვაქ არავის მოქმედებაში, წინააღმდეგ, გვწამს, რომ ყოლიფერი რიგზე სწარმოებს, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენთვისაც საინტერესოა ვიცოდეთ საქმის ვითარება, საინტერესოა, ვიმეორებთ, ვიცოდეთ, რა გაუკეთა მონასტერს სანთლის ქარხანამ, რაში დაიხარჯა შემოსული ფული, ან, თუ არ დახარჯულა, რამდენია, სად და ვის სახელზე ინახება იგი.

სასულიერო.

ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

მეფალეთელ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

კითხვა. შემთხვევით ერთ-ოჯახში ორს, ან სამს მიცვალებულებს ასაფლავებენ ერთ დღეს, შეიძლება თუ არა იმათი ერთად ანდრეძის აგება, რიგისა-მებრ თავიანთის სახელის მოხსენებით?

პასუხი. შეიძლება.

კითხვა. აღდგომის წინა დღით შაფათს გარდაიცვალა კაცი და ბრწყინვალე შვიდეულში იქმნა დასაფლავება, რომელი ანდრეძის აგება იქნება უფრო კანონიერი?

პასუხი. დროის შესაფერი, ე.ი, როცა ანდერძს უგებენ.

კითხვა. დიდი მარხვის დაურწყების ღღეა და შემთხვევით სალამო დროზე სამი, ან ხუთი ჯვარ-დასაწერი იქმნა; თითეულად მღვდელი ვერ ასწრობს ჯვარის წერას დანიშნულ დროზედ, მაშინ, თუ კი გვირგვინები კიდევ არის ეკკლესიაში, შეუძლია თუ არა მღვდელს რამოდენიმე ერთად დააყენოს და ჯვარი დასწეროს?

პასუხი. ასეთი შემთხვევა შეუძლებელია, ჩვენში მაინც, თუმცა თვით გვირგვინის კურთხევა ამ რიგათ შეიძლება.

კითხვა. ნათლისღებაში, ერთი საიდუმლოს შესრულებით, ერთ ემბაზში, რამდენი ყრმის მონათვლა შეიძლება?

პასუხი. რამდენიც გნებავთ მხოლოდ ჯერ ვაჟები უნდა დაინათლოს და მერმე ქალები.

კითხვა. სასიძო არის მეორის ქორწინებისა და სასძლო კი პირველისა, რომელი გვირგვინის კურთხევა შესრულდება?

პასუხი. პირველი.

კითხვა. ერთს წირვაზე, რამდენ მიცვალებულს შეუძლია მღვდელმა უწიროს?

პასუხი. აურაცხელს, რამდენსაც მღვდელი ისურვებს.

კითხვა. შორიდან შორს მიასვენებენ მიცვალებულსა რა თქმა უნდა, შამოალამდებათ გზაზე, მაშინ მიცვალებულის პირისუფალმა ეკკლესიაში ითხოვა ცხედრის დასვენება ღამის გასათევად, ხომ არ შეუძლია მღვდელს მათი უარის ყოფა?

პასუხი. მღვდლის საქმეა: შეუძლია ნებას დართავს და შეუძლია არა. თუ მღვდელმა იცის მიცვალებულის ვინაობა, რატომაც არ უნდა დართოს ნება, თუ არ იცის, საშიშიც არის: იქნებ მიცვალებულის სახით ეკლესიაში ყაჩაღი შემოიტანეს.

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემი მხრით, აგრეთვე ჩემის მრევლის მხრითაც ქვემორე მოხსენებულ პირი, რომელთაც კეთილ ინებეს და ახლად აგებულს ჩემდამო რწმუნებულს მუხურის ზედ-მიწერილს ბრილისის წმ. გიორგის ეკკლესიის გასამშვენებლათ შემოსწირეს შემდეგი ნივთები: 1 პლატონ მიხელისძე გაბრიჭიძემ სახარება ღირებული 25 მან. 2) ოქროპირ გაბრიჭიძის მეუღლემ ანუსია ჩუბინიძის ასულმა კრეტსაბმელი ღირებული 5 მან. 3) თომია რობაქიძის მეუღლემ ალათი გაბრიჭიძის ასულმა, ტრაპეზის წინ დასაფენი ფარდაგი ღირებული 5 მან. 4) დავით გაბრიჭიძის მეუღლამ ანინო ფანჩულიძის ასულმა კურთხევანი ღირებული 4 მან. 5) ქვრივა თომია არაბიძისმა მაგდანელ დავლაძის ასულმა სამღეროვანი შანდალი და ორი არშინი ფარჩა ღირებული 5 მან.

იმედია ახლად აგებულ ეკლესიის გასამშვენებლათ არც სხვანი დაიშურებენ თავიანთი წვლილის გამოღებას, რისთვისაც დიდი მადლობა გამოეცხადებათ გაზეთის საშუალებით.

მუხურის მთავარანგელოზის ეკკლესიის

მღვდელი გალ. აბესაძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჯედლიძე.**

გამომცემელი **იოსეპ ლეჟავა.**